ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 8 (13) 27 IV 1990

## 19 აპრილს ზემო აჭარაში

ერთი წლიწადი, ცრემლიანი, მაგრამ ამავე დროს ამაღლებული წლიწადი გავიდა შარშანდელი ტკივილიანი აპრილის შემდეგ... უკვე ნაღვლიან მოგონებად ქცეულმა იგრიკამ ორი წმინდა ადგილი „გვიხახსოვრა": საქართველოს დედაქალაქში მთავრობის სახლის წინა მოედანი, ადგილი, სადაც 9 აპრილის სისხლიანი განთიადისას წმინდანთა სისხლი დაიღვარა სამშობლოს თავისუფლებისთვის... და ხ ხ ა ლ თ ი ს ხ ე ო ბ ა, სადაც ჩანჩქურიხევში ჩამოქცეულმა სოლგომანის მთამ მრავალ ქართველთა სიცოცხლე შეიწირა...

1990 წლის 19 აპრილს, ტრაგედიის ადგილას, შემდეგ კი ხხალთის ეკლესიის ეზოში უამრავმა ქართველმა მოიყარა თავი; რამდენიმე კილომეტრზე იყო გაჭიმული ეროვნულდროშებიანი ავტობუსებისა და მანქანების რიგი... აქ სტუმარი არავის ეთქმოდა, ყველა იყო ჭირისუფალი, ყველა სევდაჩამდგარი თვალებით შეხჩერებოდა სამგლოვიარო მიტინგზე გამომსვლელებს; მთავარი არ იყო სიტყვები, არც გულისამაჩუყებელი (რომელიც აქ ბევრი ითქვა) და არც პოლიტიკურ კამათში გადაზრდილი (რომლებიც ეროვნული ფორუმის, სახალხო ფრონტისა და ოფიციოზის წარმომადგენლებს შორის გაიცვალა, და რომელიც, ჩემი აზრით, სამგლოვიარო მიტინგს საავდრო ღრუბელივით დააწვა...)... მთავარი იყო ხხალთის ეკლესიის კედლებზე აციმციმებული სანთლების კრთოლა (ველარ დაიტია ეკლესიის ორმა შანდალმა ყველა სანთელი); მთავარი იყო თბილისელი, თელაველი, ოზურგეთელი, ბათუმელი, შუახეველი, ხულოელი და კიდევ ბევრი სხვა კუთხის ქართველის თვალებზე ერთნაირად შეყინული (თუ შეკავებული) ცრემლი; მთავარი იყო გულისტკივილი იმის გამო, რომ საქართველოს ამჟამინდელმა ხელისუფლებამ დღემდე ვერ მოახერხა, სტიქიის დროს დაღუპულთა ოჯახებისთვის მაინც გამოეძებნა საცხოვრებელი ფართი მიმდებარე რაიონებში — გარდაცვლილი შვილების, ძმების, მშობლების ჯერ კიდევ ცრემლშეუმშრალი საფლავების ახლოს... რატომ უნდა მიგვეყვანა ჭირისუფლები იქამდე, პროტესტის უკიდურესი ფორმისთვის — შიმშილობისთვის — მიემართათ... ძნელია გააცნობიერო ისიც, რომ ვიღაც ამბიციურს თავისი ინტერესებისთვის შეუძლია გამოიყენოს გაჭირვებული ხალხის ემოცია, მათი გულუბრყვილობა...

[illegible] ვით ადგილია), ყველაფერი კარგად დამთავრდა („ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია")...

საღამოს ნელ-ნელა დაცარიელდა ხხალთის ხეობა; დარჩნენ მწირ მიწასა და ბედისწერას შეჭიდებული, ჭირთამთმენი ადგილობრივი ქართველები, რომლებმაც ბევრ სტუმარს გადააფიქრებინეს სახლში დაბრუნება და ჭირისხდის სუფრასთან გაათენებინეს... დარჩა საშინლად მომზირალი ნამეწყრალი ადგილი, დარჩა მშვენიერ, გიგანტურ მთებს შუა სანთელივითმთრთოლავი სისპეტაკე — ულამაზესი ხხალთის ეკლესია...

ტატო კლარჯელი
22 იგრიკა, 1990 წელი.

სერგეი სტანკევიჩმა საზოგადოებრიობის ყურადღება სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე მიიქცია, მესამეზე კი იგი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ერთ-ერთ კანდიდატად დაასახელეს. სერგეი სტანკევიჩი რუსეთის დემოკრატიული ბლოკის ერთ-ერთი ლიდერი, რეგიონთაშორისი სადეპუტატო ჯგუფის აქტიური წევრია. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ დავეთანხმებით ამ ინტერვიუში გამოთქმულ მთელ რიგ მოსაზრებებს, მაგრამ, ვფიქრობთ, მკითხველისათვის ერთობ საინტერესო უნდა იყოს, რას ფიქრობს კონსტრუქციული ოპოზიციონერი, რუსული დემოკრატიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი საბჭოთა კავშირში დღესდღეობით შექმნილ ვითარებაზე.

## შვიდი შეკითხვა სერგეი სტანკევიჩს

როგორ აფასებთ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, კერძოდ, ლიტვაში შექმნილ სიტუაციას. ლიტველი ხალხი სამართლიანად მოითხოვს დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენას, საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გასვლას. დიდი სახელმწიფოდან ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოყოფას აუცილებლად თან სდევს ამ სახელმწიფოებს შორის ქონებრივი ურთიერთობების გამწვავება. ამას ვერც ლიტვა გაექცევა. ასეთ შემთხვევაში, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სახელმწიფოთა შორის ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგება ხდება გაერთიანებული ერების მიერ შემუშავებული დოკუმენტის, ვენის კონვენციის საფუძველზე. ამ დოკუმენტში ნათქვამია, რომ მოსალოდნელი ქონებრივი პრეტენზიები არ შეიძლება იქცეს დაბრკოლებად ფედერაციიდან დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთ[illegible] ბრივი პრეტენზიები პოლიტიკური აქტის განხორციელების შემდეგ უნდა გაირკვეს საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად. ვენის კონვენციის მიხედვით ბუნებრივი სიმდიდრეები, მიწა, წყალი ეკუთვნის იმ ხალხს, ვინც მოცემულ ტერიტორიაზე ცხოვრობს. დიდი სახელმწიფოს მოძრავი სახელმწიფო ქონება, რომელიც დაკავშირებულია მის საქმიანობასთან ახალი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, გადადის მემკვიდრე სახელმწიფოს საკუთრებაში. ამ დოკუმენტში მოცემული ზოგადი პრინციპების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. მთავარი ის არის, რომ საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწერა ვენის კონვენციას და ლიტვის გამოყოფის შემთხვევაში ქონებრივი პრობლემების გადაჭრისას, ალბათ, სწორედ ამ დოკუმენტით უნდა იხელმძღვანელოს.

— რა თქმა უნდა, მით უმეტეს, რომ ეს დოკუმენტი ჩვენს მიერ ხელმოწერილია. საბჭოთა კავშირსა და ლიტვას შორის, ამ უკანასკნელის გამოყოფის შემთხვევაში, ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგება დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, რადგანაც ჩვენ საამისოდ არ გაგვაჩნია რამდენადმე სერიოზული სამართლებრივი ბაზა. ქონებრივი პრეტენზიები ერთმანეთის მიმართ ორივე მხარეს აქვს. ლიტვა საკუთარ დანაკარგს ან[illegible]უპა, რამდენი იქნა დეპორტირებული, რამდენი ზარალი განიცადა რესპუბლიკის ეკონომიკამ საკავშირო უწყებების დაუდევრობისა და უპასუხისმგებლობის გამო. ყოველივე ეს სრულიად გასაგები და გასათვალისწინებელია. ლიტვის მთავრობამ სახალხო დეპუტატთა ყრილობა ულტიმატუმის წინაშე დააყენა, მზა, ურყევი გადაწყვეტილება გამოუცხადა, შემდეგ კი შესთავაზა მოლაპარაკებების დაწყება. ეს არ არის საუკეთესო გზა მოლაპარაკებების დასაწყებად. პირადად მე მივესალმებოდი შემდეგ ვარიანტს — მიღებული ყოფილიყო დეკლარაცია, რომელშიც ნათქვამი იქნებოდა: ჩვენ გვსურს უახლოეს დროში აღვადგინოთ ლიტვის დაკარგული სახელმწიფოებრიობა, მზად ვართ დავიწყოთ მოლაპარაკებები ყველა სადავო საკითხის გადასაწყვეტად და ურთიერთპრეტენზიების დასაკმაყოფილებლად, ჩვენი პირობები...

ამ შემთხვევაში ძალიან გაუადვილდებოდათ საქმიანობა იმ საღად მოაზროვნე პოლიტიკოსებს, რომლებისთვისაც გასაგებია ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მოთხოვნების მოტივები. ახლა კი ჩვენ ძალიან გაგვიჭირდება მოქმედება. ლიტვაში შექმნილი ვითარება რეალობაა და არავის აქვს მისი უგულვებელყოფის უფლება. მოლაპარაკებები გარდაუვალია, არსებობს მხოლოდ ერთი ალტერნატივა — სამხედრო კონფრონტაცია, რომელიც მარცხისთვისაა განწირული. მე დანამდვილებით ვიცი: ბევრი მზადაა, დღესვე გაგზავნოს ლიტვაში ტანკები. დიდია ცდუნება ნებისმიერი ფორმით ძალის გამოყენების, მუქარას, ეკონომიური შანტაჟის. არ უნდა ავყვეთ ამ ცდუნებას,

(დასასრული მე-4 გვ.)

## აკრძალული ზონის მიღმა
## ანუ
## რა ხდება ფსიქიატრიაში

**რედაქცია აგრძელებს ფსიქიატრიაში არსებული მძიმე ვითარების ამსახველი მასალების პუბლიკაციას. ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის, უფროსი მეცნიერ-მუშაკის, თბილისის ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ზურაბ ჩიქოვანის წერილს. აქვე დავძენთ, რომ ზურაბ ჩიქოვანი არის ის პიროვნება, რომელიც მიუხედავად მისი ოფიციალური სოციალური სტატუსისა, 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში საჯაროდ წინ აღუდგა ფსიქიატრიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობას, რომელიც პასუხისმგებელი იყო ფსიქიატრიულ დაწესებულებებში შექმნილ მძიმე მდგომარეობაზე და არაერთხელ დააყენა მათი ბრალეულობის საკითხი სხვადასხვა დონეზე. ამის შედეგად იგი გაანთავისუფლეს ყველა თანამდებობიდან და ბოლოს, 1983-84 წწ უმუშევარი დარჩა.**

**მედიცინის** ეს დარგი დღეს საზოგადოების იდეოლოგიური ინსტიტუტების მხედველობის ეპიცენტრში აღმოჩნდა. მძლავრი, მასობრივი და აგრესიულია ეს შეტევა. დღის სინათლეზე გამოდის ფაქტები, რომლებიც მეტყველებს, თუ რა წინააღმდეგობრივი, მძიმე და სულისშემძვრელი ვითარებაა შექმნილი მოსახლეობის ფსიქონევროლოგიური მომსახურების სფეროში, როგორც სტაციონარებში, ისე დისპანსერულ ქსელში. ისიც ცნობილია, რომ ეს უკიდურესად დრამატული სიტუაცია არც დღეს შექმნილა და არც გუშინ. იგი ყალიბდებოდა ათეული წლების მანძილზე. ყოველგვარი ცდა, ინიციატივა, გამომზეურებულიყო და საჯარო მსჯელობის საგნად ქცეულიყო ფსიქიატრიის შიგნით არსებული დანაშაულებრივი ვითარება მისი მესვეურების გამძვინვარებულ წინააღმდეგობას აწყდებოდა. მრავალი უგვანობისა და უკეთურების გამომწვევი მიზეზები, დანაშაულებრივი ქმედებანი დაუსჯელი და შეუმჩნეველი რჩებოდა საზოგადოებისათვის სწორედ იმიტომ, რომ ამ დარგს **შეუვალობის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული, ტაბუ ედო, კრიტიკისათვის აკრძალულ ზონად ითვლებოდა.**

მე-19 პარტიულ კონფერენციაზე საკავშირო ჯანმრთელობის დაცვის (აწ უკვე ყოფილმა) მინისტრმა ე. ჩაზოვმა განაცხადა, რომ „ჩვენ **ვამაყობდით** მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის სისტემით, მაგრამ **ვდუმდით** იმაზე, რომ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლებით ვიყავით მსოფლიოში 50-ე ადგილზე მავრიკიისა და ბარბადოსის შემდეგ. ჩვენ **ვამაყობდით** იმით, რომ გვყავს მსოფლიოში ყველაზე მეტი ექიმი, გვაქვს ყველაზე მეტი საავადმყოფო, მაგრამ **ვდუმდით** იმაზე, რომ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის დონით ვიყავით 32-ე ადგილზე".

ბუნებრივია, ისმის კითხვა, რომელ ადგილზე ვდგავართ მსოფლიოში მოსახლეობის ფსიქიატრიული მომსახურების დონით? რა კრიტერიუმებით უნდა განისაზღვროს ეს დონე? ამაზე მინისტრს არაფერი უთქვამს, **დუმდა**. ალბათ იმიტომ, რომ საბჭოთა ფსიქიატრია მაშინ საერთოდ არ შედიოდა მსოფლიო ფსიქიატრთა ასოციაციაში. საბჭოთა ფსიქიატრიას წაუყენეს ბრალდება, რომ იგი ასრულებდა პოლიტიკური ინსტრუმენტის ფუნქციას. მოგვიანებით, თვით ჩაზოვი და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელები საკავშირო თათბირზე (იგი შარშან, 17-18 აპრილს გაიმართა მოსკოვში, ექიმების, სოციოლოგების, პედაგოგების, ფსიქოლოგების და განათლების დარგის წარმომადგენლების მონაწილეობით) აღიარებენ, რომ მდგომარეობა ფსიქიატრიულ კლინიკებში **უმძიმესი და დამთრგუნველია**, ხშირ შემთხვევაში სუფევს განუკითხაობა და დაუსჯელობა, ხოლო რაც შეეხება საავადმყოფოების მატერიალურ-ტექნიკურ მდგომარეობას, იგი საერთოდ ელემენტარულ კრიტიკას ვერ უძლებს, ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში ყველაზე უარესია. ასეთ ვითარებაში მიმდინარეობს თხუთმეტი მილიონი მოსახლე (ნაწილობრივი კომპენსაციის მდგომარეობაში) და ხუთნახევარი მილიონი აქტიურ აღრიცხვაზე მყოფი კონტიგენტის მკურნალობა (რა თქმა უნდა, თუ შეიძლება ამას ცივილიზებულ ენაზე მკურნალობა დავარქვათ).

საილუსტრაციოდ პრესაში მოყვანილია აჭარის ფსიქიატრიული საავადმყოფოს მაგალითი. ეს საავადმყოფო ისეა დაპროექტებული და მიღებული ექსპლუატაციაში, რომ განყოფილებებში არ არის გათვალისწინებული ტუალეტი (ავადმყოფები იძულებული არიან პალატებში მოითავონ ეს საქმე!). საავადმყოფოში არსებული სიტუაცია იმდენად შემაძრწუნებელი აღმოჩნდა, რომ თვით საკავშირო ტელევიზიამაც კი მიზანშეუწონლად ჩათვალა მისი ეთერში გადაცემა.

იგივე მდგომარეობაშია თბილისის ფსიქიატრიული საავადმყოფო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ ტუალეტები კი იყო დაპროექტებული, მაგრამ უხარისხოდ და დეფექტურად შესრულებული ჰიდროიზოლაციის გამო წლების მანძილზე ნაბანი წყალი და ფეკალური მასები სართულებიდან სართულებში ნიაღვარივით მოდიოდა. ეს კიდევ არაფერი, იგი არაერთი კაპიტალური დეფექტით გადაიცა, გათბობის სისტემა ფაქტობრივად არ ფუნქციონირებდა, ზამთარ-ზაფხულ სტაციონარში და გარეთ თითქმის ერთნაირი ტემპერატურა იყო. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ცემენტის იატაკზე უსაშველო მტვერი დგებოდა (რასაც წყლის დასხურებაც კი ვერაფერს შველოდა), ადვილი წარმოსადგენია, ასეთ პირობებში რა გარემოში მიმდინარეობდა და რა შედეგები უნდა ჰქონოდა ავადმყოფთა „მკურნალობას". ეს ხომ ის შენობაა, რომელიც ასეთი დეფექტებით მიიღეს საექსპლუატაციოდ 1982 წელს და ფუნქციონირებდა 1988 წლამდე?!

თუ თბილისში ასეთი მდგომარეობაა, ადვილი წარმოსადგენია, რა უნდა იყოს ბედიანის (წალკა) და წინწკალის (თერჯოლა) 1000-1500-საწოლიან ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, რომლებიც გათვალისწინებულია ქრონიკული ავადმყოფებისათვის. მათი არსებობა შეიძლება არც იცოდეს ჩვენმა საზოგადოებრიობამ.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გამოქვეყნებული მასალები ფსიქიატრიის უმძიმეს მდგომარეობაზე, ამ დარგისა და მისი მეცნიერული იდეოლოგებისადმი წაყენებული სოციალური ბრალდებები, რა თქმა უნდა, პრინციპულ შეფასებას მოითხოვს. კერძოდ, რა კრიტერიუმებით უნდა განისაზღვროს პასუხისმგებლობა იმ მეცნიერ-სპეციალისტებისა, რომელთა მეოხებით „ქვეყნის შიგნით ათეული წლების მანძილზე შეიქმნა ვითარება, როცა ფსიქიატრიულ სტაციონარებში შესაძლებელი იყო მოეთავსებინათ მოქალაქეები არასამედიცინო ჩვენებებით, მათი შო-

(გაგრძელება მე-8 გვ.)

# მიმართვა

## საქართველოს ახალგაზრდობისადმი

საქართველო კოლონიურ მდგომარეობაშია და ოკუპირებულია საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ 1921 წლის 25 თებერვლიდან. ამის უშუალო შედეგიცაა მთელი ერის მიმართ განხორციელებული გენოციდი, რომელიც დღესაც გრძელდება. ეს გამოიხატება ათობით ქართველი გარდაცვლილი ახალგაზრდის ჩამოსვენებით — სამხედრო ნაწილებში სადისტური მოპყრობით, რომლის უამრავი მაგალითიც ვიცით.

პასუხს ვაგებთ რა ჩვენი ახალგაზრდობისა და ერის მომავალზე, მოგიწოდებთ ჩვენს სამშობლოში მცხოვრებ ყველა „სამხედრო ვალდებულს", უარი განაცხადოთ საოკუპაციო ჯარში სამსახურზე, რაც თქვენი პიროვნული და ზნეობრივი ვალდებულებაა.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

საქართველოს ჰელსინკის კავშირი, ეროვნული აღორძინების წევამდელთა კომისიის თავმჯდომარე

კ. გაწერელია

# პოლიტპატიმარი

საქართველოში, ბათუმის ციხეში პოლიტპატიმარია. ზაზა ივანეს ძე ჩიტიშვილი 19 აპრილს მიიყვანეს ციხეში. იქამდე ის ხელვაჩაურის 90-ე პოლკის ჰაუპტვახტში იჯდა. ზაზა დაიჭირეს იმ აქციებში მონაწილეობის გამო, რომელიც ბათუმში გაიმართა ამ პოლკის ჯარისკაცების თაოსნობით და რომელზეც დაწვრილებით მოგითხროთ ჩვენმა გაზეთმა. აქციის შემდეგ ჯარისკაცები დაბრუნდნენ ნაწილში იმის გარანტიით, რომ მათ წინააღმდეგ არავითარი ზომები არ იქნებოდა მიღებული (ამაში დაარწმუნა ბატონი ნოდარ ნათაძე გივი გუმბარიძემ), მაგრამ, როგორც ხედავთ, როგორც ყოველთვის ხდებოდა, სიტყვა არ გამართლდა. ზაზა ჩიტიშვილს მიუყენეს 264-ე მუხლის „ა" პუნქტი. როგორც აჭარის ასსრ სამხედრო პროკურორი, მაიორი ასლანოვი ფიქრობს და ოცნებობს, ზაზას კვალს სხვა ქართველი ჯარისკაცებიც მიჰყვებიან. ეტყობა, მაიორ ასლანოვს და მისთანებს ბოლომდე აერიათ ჰკუა.

# საოკუპაციო არმიის „ქართველ" გენერალს

პატ. გენერალო ა. წ. 18 აპრილს საქართველოს ტელევიზიით მიმდინარეობდა გადაცემა საოკუპაციო არმიაში რესპუბლიკის მოსახლეობის გაწვევის თაობაზე.

ჟურნალისტებთან ინტერვიუში ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრებმა და ექიმთა ასოციაციის წარმომადგენლებმა გამოთქვეს თავისი მოსაზრება ამ აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით. მათი პოზიცია ყოველი ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილისთვის გასაგებია — არც ერთი ქართველი დამპყრობლის არმიაში!

ამავე გადაცემაში მიმდინარეობდა პარალელური ინტერვიუ თქვენთან, საქართველოს ფსევდოსუვერენული რესპუბლიკის ახალ სამხედრო კომისართან. სწორედ თქვენს საპირისპირო პოზიციაზე მინდა მოგახსენოთ რამდენიმე მოსაზრება.

პირველ ყოვლისა მინდა აღვნიშნო, რომ ამ ინტერვიუს დროს თქვენს თავს — ქართველი(!) გენერალი უწოდეთ.

იქნებ არ უწყით, პატ. გენერალო, რომ დღესდღეობით ქართული არმია არ არსებობს და, აქედან გამომდინარე, ვერ იარსებებს ვერც ქართველი გენერალი? თქვენ საოკუპაციო არმიის გენერალი ბრძანდებით და რაც უფრო მალე გაითვითცნობიერებთ ამას, მით უკეთესი იქნება თქვენთვის.

პატ. გენერალო, თქვენ შესაშური მონდომებით ცდილობთ დაგვარწმუნოთ იმაში, რომ ქართველ ჭაბუკებს არავითარი საფრთხე არ ემუქრებათ ე. წ. საბჭოთა არმიაში სამსახურის დროს: რომ ის 86 ქართველი, რომელიც შარშანდელ წელს ჩამოასვენეს სამშობლოში, რომ ის 23 ქართველი, რომელიც უკვე მოიკლა ამ წლის დასაწყისიდან, მხოლოდ და მხოლოდ უბრალო შემთხვევითობის მსხვერპლი არის და მეტი არაფერი. ცდილობთ დაგვარწმუნოთ იმაშიც, რომ საოკუპაციო არმიაში სამსახურის დროს ქართველებსა და რუსებს შორის არავითარ კონფლიქტებს არა აქვს ადგილი და თუ მაინც წარმოიშვება რამე უთანხმოების მსგავსი, ამის ერთადერთი მიზეზი ის არის, რომ რუსები „სემიჩკასავით" აყრიან ერთმანეთს დედის გინებას, ხოლო ქართველები დედის გინებას ვერავის პატიობენ. ამ „უმნიშვნელო" (თქვენი სიტყვით) ფაქტორის გარდა, თურმე მათ შორის სხვა არავითარ გაუგებრობას არა აქვს ადგილი.

ვის მოტყუებას ცდილობთ, პატ. გენერალო?! ბრმების ქვეყანაში ხომ არ გგონიათ თავი?

რა პასუხს აძლევთ იმ 109 ქართველის შეწყვეტილ სიცოცხლეს, ან, მაგ სიტყვების შემდეგ, როგორ უნდა შეხედოთ თვალებში მათ სვეგამწარებულ მშობლებს, რომელთაც აუცილებლად იხილავთ, რუსთაველის პროსპექტზე თუ მოხვდით ოდესმე?! თუ ის არ კმარა მაგალითად, ათასობით ახალწვეული და ძველწვეული ქართველი რომ გამორბის სამხედრო სამსახურიდან აუტანელი პირობების გამო, რომელსაც მათ უქმნიან შოვინისტი ოფიცრები?! კარგ ცხოვრებას რომ არავინ გაექცევა, ეს ყველამ მშვენივრად ვიცით.

ინტერვიუს ბოლო ფრაგმენტში თქვენ წუხილი გამოთქვით იმის თაობაზე, რომ ზოგიერთი „გაუცნობიერებელი" ქართულის არცოდნას და გარუსებას გაბრალებთ და მადლობა მოუხადეთ ჟურნალისტებს, რადგან მათ თქვენი პიროვნება ქართველ საზოგადოებრიობას გააცნეს.

კი ბატონო, დიდი მადლობა ჟურნალისტებს ამისათვის, თქვენი თავი რომ გაგვაცნეს კარგად, მაგრამ მე სრულიად არ მესმის თქვენი წუხილის მიზეზი.

არა მარტო მე, ალბათ, უამრავი ტელემაყურებელი შენიშნავდა, რომ თქვენს სასაუბრო დიალექტში უხვად მოიპოვება ისეთი სიტყვები, როგორიცაა: „დაჟე", „პროსტო", „ზვანია", „დაპუსტიმ", „სემიჩკა", „ბალკონი" და სხვა. როგორც ვიცი, ქართულ ლექსიკაში ასეთი გამოთქმები არ მოგვეპოვება, ამიტომ არაფერია იმაში გასაოცარი, თუ მათ მხმარებელს ქართულის არამცოდნეს უწოდებენ.

რაც მთავარია, თქვენ, „ქართველო" გენერალო, განაცხადეთ, რომ თქვენი სამსახური არ ნიშნავს საოკუპაციო არმიაში სამსახურს, და რომ პირველად გესმით ამის შესახებ, გიკვირთ კიდეც.

პატ. გენერალო, მინდა მეტად საგულისხმო ფაქტი გაუწყოთ. ახლა, ჩვენს დროში, თითისტოლა ქართველმაც კი იცის, რომ საქართველო ანექსირებული (დაპყრობილი — ვმარტავ პირადად თქვენთვის) ქვეყანაა, და რომ მის ტერიტორიაზე განლაგებული საბჭოთა ფორმირებები, სხვა არაფერია, თუ არა საოკუპაციო (დამპყრობელი) ჯარების ნაწილები, რომელიც ოკუპირებულ (დაპყრობილ) ქვეყანაში „წესრიგის დასაცავად" არის მოწოდებული. როდესაც თქვენ აცხადებთ, რომ ასეთ არმიას არ სთვლით საოკუპაციო არმიად, ამით აღიარებთ, რომ მსახურობთ მშობლიურ არმიაში, ანუ საბჭოთა რუსეთის არმიას თვლით მშობლიურ არმიად. საოკუპაციო არმიის გენერალი იგივე ოკუპანტი (დამპყრობელი), ანუ ოკუპაციის (დაპყრობის) მომხრეა.

გეკითხებით: განა საკვირველია, რომ ამის შემდეგ გარუსებული გიწოდონ?

არა, პატ. „ქართველო" გენერალო, ამაში საკვირველი და საწყენი თქვენთვის არაფერია! საწყენი ის კი არ არის, რომ თქვენ ქართულის არამცოდნეს და გარუსებულს გიწოდებენ, არამედ ის, რომ თქვენ, წარმოშობით ქართველი, ქართველთა მტერს ემსახურებით და თუ არ თვალთმაქცობთ, მაშინ მეტად საწყენია, რომ ჯერაც ვერ გაგითვითცნობიერებიათ თქვენი მდგომარეობა.

სოსო ჯაჯანიძე

# საქართველოს სსრ სამხედრო პროკურორს

საქართველოს სახალხო ფრონტს განსაზღვრული აქვს, საჯარო მსჯელობის გამართვა თემაზე: „არმიაში ქართველთა სამსახურის იურიდიული და მორალური საკითხები". თქვენი დასწრება სასურველია. გთხოვთ, მობრძანდეთ კინოს სახლის დიდ დარბაზში ა. წ. 7 მაისს.

სსფ-ის გამგეობა

# არ გავთელოთ ფეხქვეშ ეროვნული ინტერესები

**დადგა** საქართველოდან საოკუპაციო არმიაში ახალგაზრდების მორიგი იძულებითი გაწვევის დრო.

ეროვნული ფორუმის საოკუპაციო არმიისადმი ბოიკოტის კომისია „ჟენევა 49" და საერთოდ მთელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მოუწოდებს ე. წ. წვევამდელებს, უარი თქვან დამპყრობლის ჯარში სამსახურზე. გავრცელდა მიმართვა ქართველი ახალგაზრდებისადმი, სადაც ნათქვამია:

**„მამულიშვილნო! ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ერისშვილთ მასობრივად უარეყოთ სამშობლოს თავისუფლების ცნება და დამპყრობლის სამსახურში ჩამდგარიყვნენ. ეს მეტად სამარცხვინოა მაშინ, როდესაც დაწყებულია მძლავრი პროცესი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და სწორედ ამ პროცესის წინააღმდეგაა მიმართული ოკუპანტის სასარგებლოდ სამსახური.**

**რომ არ გავთელოთ ფეხქვეშ ეროვნული ინტერესები და არ ჩავიდინოთ მოღალატური საქციელი, აუცილებელია ინდივიდუალურად და კოლექტიურად პოლიტიკური და ეკონომიკური საბოტაჟი გამოვუცხადოთ მოდერნიზებული იმპერიის საოკუპაციო ჯარებს, რაც საკმაო რისკთანაა დაკავშირებული, მაგრამ მიუხედავად ამ რისკისა, ხმამაღლა უნდა განვაცხადოთ შემდეგი:**

**1. საოკუპაციო ჯარებმა დატოვონ საქართველოს ტერიტორია!**

**2. შეწყდეს ქართველთა გაწვევა ოკუპანტთა ჯარებში!**

**3. არც ერთი ექიმი ოკუპანტის სამხედრო სამედიცინო კომისიის სამსახურში!**

**4. ისტორიის სანაგვეში საოკუპაციო არმიის სამარცხვინო სამხედრო ბილეთი!".**

მიმართვაში ნათლადაა ნათქვამი, რომ არ უნდა უარვყოთ სამშობლოს თავისუფლების ცნება და ფეხქვეშ არ გავთელოთ ეროვნული ინტერესები. ზოგიერთისთვის ან კვლავ ბუნდოვანია ეს, ანდა არ სურთ გაიგონ, რომ ე. წ. სსრ კავშირის ქურქში გახვეული მოდერნიზებული იმპერიის ჯარები რჩება საოკუპაციო ჯარებად და სამსახური მის სასარგებლოდ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

მიმართვაში ნათქვამია, რომ უარის თქმა საოკუპაციო არმიაში სამსახურზე საკმაო რისკთანაა დაკავშირებული. რა არის ეს რისკი? აქ საუბარია ამაზე, რომ უარეს შემთხვევაში, თუკი ეროვნული მოძრაობა ვერ შეძლებს უარის მთქმელი ახალგაზრდების დაცვას, მაშინ მათ მოუხდებათ სისხლის სამართლის წინაშე პასუხისგება. შესაძლებელია მიუსაჯონ 1-დან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა. ეს მაშინ, თუკი ეროვნული მოძრაობა ვერ შეძლებს მათ დაცვას. მაგრამ, როდესაც არსებობს ეროვნული მოძრაობის გარშემო შემოკრებილი ჯანსაღი ძალები, როდესაც შექმნილია საზოგადოებრივი აზრი, რომ უარის მთქმელის გასამართლება და დაპატიმრება არის არა დეზერტირის, არამედ პოლიტპატიმრის ყოფნა ციხეში, რომ მის დასახსნელად მზადაა საზოგადოება იბრძოლოს უკანდაუხევლად, უკომპრომისოდ, მაშინ ეს უარესი შემთხვევა გამორიცხულია.

საოკუპაციო ჯარში მყოფი არარუსის მდგომარეობა პატიმრის მდგომარეობაზე გაცილებით მძიმეა, დაზუსტებით ვიტყვი: საოკუპაციო არმიაში ორი წლის ვადით სასჯელის მოხდა ბეგარის სახით პატიმრობის ტოლფასია და უარესია. უარესია იმიტომ, რომ პატიმარს ელემენტარული უფლებები მაინც აქვს, ჯარისკაცს კი ყოველგვარი უფლება — პოლიტიკური, ეკონომიკური, ზნეობრივი — წართმეული აქვს და ველიკორუსული შოვინიზმით გაყლენთილი რუსი ოფიცრის ნება-სურვილის მიხედვით მოქმედებს. უსიტყვოდ ემორჩილება მის ბრძანებას და შეუსრულებლობის ან საწინააღმდეგო მოქმედების შემთხვევაში ისჯება. სასჯელი აუტანელია, ხშირია წამებით მათი სიცოცხლის ხელყოფა.

ბოლო დროს გახშირდა ათასგვარი მოთხოვნები ჯართან დაკავშირებით. ერთნი მოითხოვენ, რომ ე. წ. წვევამდელებმა იმსახურონ საქართველოში; მეორენი ამბობენ, კარგი იქნება შინაგანი ჯარები ქართველებით შეივსოსო, მესამენი ქართული საჯარისო ფორმირების საკითხით არიან დაკავებულნი.

უნდა გამოვრიცხოთ ზემოთნახსენები ვარიანტები. ჩვენ უნდა ვიყოთ ერთი საქმით დაკავებულნი, ჩვენი მიზანი უნდა იყოს ერთი — ქართველმა არ იმსახუროს დამპყრობლის ჯარში, საოკუპაციო ჯარმა დატოვოს საქართველოს ტერიტორია.

თუკი ეს არმია დამპყრობლისაა და საქართველო მისი მეშვეობითაა ოკუპირებული, მაშინ პირველ რიგში არ უნდა ვიმსახუროთ ოკუპაციის განმახორციელებელ ნაწილებში, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე დგანან. საკუთარი ნებით საქართველოში მდგარ ნაწილებში სამსახური გაცილებით სამარცხვინოა, ვიდრე გადაკარგულში, სადღაც ჩრდილოეთში ძალით ბეგარის მოხდა.

შინაგან ჯარებში სამსახური არ არის მიზანშეწონილი, იგი იმპერიის განუყოფელი ნაწილია და მის უშიშროებას ემსახურება. სად მოუწევს ჯარისკაცს გადასროლა და რომელი მიტინგის თუ გამოსვლის სისხლში ჩახშობა, ღმერთმა უწყის, აქ ისიცაა აღსანიშნავი, რომ შინაგან ჯარებში მხოლოდ მცირე პროცენტი შეიძლება დარჩეს და ჩვენ თუ უარის მთქმელები ვართ, ვიყოთ ბოლომდე გაბედულნი, საკუთარი ბედის მოწყობის ფასად არ დავივიწყოთ საერთო პრინციპები და უარი არ ვთქვათ ბრძოლაზე. ბრძოლის გზა არის ბრძოლის გზა და ის დაადგება ამ გზას, ვინც უარს იტყვის ყოველგვარ კომპრომისზე, ყოველგვარი ბეგარის მოხდაზე.

ჩვენ არ უნდა ვითხოვდეთ მდგომარეობის გაუმჯობესებას. ასეთ პირობებში ჩვენ უნდა განვახორციელოთ მხოლოდ და მხოლოდ ბოიკოტი, ოკუპანტის მიმართ პოლიტიკური და ეკონომიკური საბოტაჟი. რაც შეეხება ქართული ეროვნული საჯარისო ფორმირების შექმნას, იგი იქნება კვლავ ოკუპანტთა განმგებლობაში და მას ყოველგვარი პერსპექტივა ერის სასარგებლოდ მოსპობილი ექნება. ეროვნული საჯარისო ფორმირება შეიქმნება პოლიტიკური კრიზისის დროს ხელისუფლების მხრიდან, რათა თვალი აეხვიოს მავანსა და მავანს და უარი თქვას ნამდვილ ბრძოლაზე.

ქართული ეროვნული საჯარისო ფორმირების შექმნა ჩვენთვის გამოსავალი არ არის. იგი გამოსავალია ხელისუფლებისათვის და სწორედ ის შექმნის ასეთ ფორმირებას. ჩვენ მას არ უნდა შევხვდეთ გამარჯვებულის ყიჟინით. რად გვინდა ათიათასკაციანი ქართული სამხედრო ნაწილი, თუ მის გვერდით კბილებამდე შეიარაღებული ასიათასკაციანი დამპყრობლის ჯარი იქნება? ეს მხოლოდ თავის მოტყუებაა.

აქვე მინდა საზოგადოების საყურადღებოდ აღვნიშნო, რომ შექმნილია ათასგვარი ჯგუფი და საქველმოქმედო საზოგადოება „ჯარისკაცთა" დასახმარებლად. ზოგი ეროვნული არმიის შესაქმნელად შემოწირულობებსაც თხოულობს. ნუთუ ეს მოქმედება გამართლებულია? ვინ არის იგი, შემოწირულობებით საქართველოს ე. წ. სსრ კავშირის შემადგენლობაში ყოფნის დროს ეროვნული არმიის შექმნას რომ აპირებს?

საქართველოს ეროვნული ფორუმის საოკუპაციო არმიისადმი ბოიკოტის კომისია „ჟენევა 49" მოგიწოდებთ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ჩვენი მიზანი უნდა იყოს ერთი, ჩვენი ბრძოლის გზები უნდა იყოს უკომპრომისო, რათა მიღწეულ იქნას საქართველოს დამოუკიდებლობა და მისი განუყოფელი ატრიბუტი და შენარჩუნების გარანტი — ქართული ეროვნული არმია. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი ამ დიდი საქმის აღსრულებაში.

**კობა ლურსმანაშვილი,**
**სედ პარტიისა და საქართველოს ეროვნული ფორუმის საოკუპაციო არმიისადმი ბოიკოტის კომისიის — „ჟენევა 49"-ის — წევრი.**

(გაგრძელება)

# აკრძალული ზონის მიღმა

რის პოლიტიკური მოტივებითაც" (ეს ოფიციალურად განაცხადა საკავშირო ჯანდაცვის სამინისტროს მთავარმა სპეციალისტმა კარპოვმა და რიგმა ფსიქიატრებმა). რატომ ხდებოდა ფსიქიატრიული დიაგნოსტიკის დანაშაულებრივი გამოყენება? როგორ შევუთავსოთ ყოველივე ეს სამედიცინო ეთიკასა და მორალზე ქადაგად დაცემული ზოგიერთი ფსიქიატრის ღირსებასა და დამსახურებას? რა ფასი აქვს ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით მეცნიერულ ტიტულებს და ამ ტიტულების მატარებელ პირებს, თუ მათი „ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის" შედეგად ფსიქიატრიაში დამკვიდრდებოდა ის უმძიმესი სიტუაცია, რაც ოფიციალურად აღიარა საკავშირო ჯანდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობამ? თვით ფსიქიატრთა საზოგადოებამ?

ფსიქიატრიაში შექმნილი მდგომარეობის მთელი მექანიზმის სწორად გათვითცნობიერებისათვის საჭიროა ავხსნათ და პასუხი გავცეთ რამდენიმე მთავარ კითხვას: რატომ არ ექვემდებარებოდა ფართო საზოგადოებრივ აზრს ამ დარგის კვლევის სპეციფიკური პრობლემები და მათი პრაქტიკული რეალიზაციის საკითხები? როდის და რატომ დაუწესდა ფსიქიატრიას შეუვალობის სტატუსი? ვისთვის იყო ხელსაყრელი ასეთი ვითარება, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა იმ განუკითხაობისათვის, რომელმაც დაიმკვიდრა ადგილი ამ გადაკეტილი ზონებისა და თემების მიღმა და რომლის სავალალო შედეგებსაც იმკის დღეს საზოგადოება?

ეს მით უფრო აუცილებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ სწორედ წლების მანძილზე დამკვიდრებულმა დუმილისა და აკრძალული ზონების მავნე პრაქტიკამ ამ პოლიტიკის გამტარებელმა კონკრეტულმა პირებმა შეუქმნეს საზოგადოებას, ახალგაზრდობას და თვით ამ დარგებში დასაქმებულ მომდევნო თაობებსაც ილუზია იმისა — თითქოს ჩვენში არ არსებობდა ნარკომანია და ალკოჰოლიზმი, პროსტიტუცია და სქესობრივი გაუკუღმართებანი, სულით ავადმყოფთა სოციალური, ინდივიდუალური და სამართლებრივი სტატუსის მოწესრიგების უაღრესად აქტუალური და მწვავე პრობლემები, ფსიქიატრიული დიაგნოსტიკის დანაშაულებრივი, მათ შორის ანგარების მიზნით გამოყენების, ქრონიკული ტიპის სტაციონარების [illegible] (რაც დიდი ხანია დაგმობილია ცივილიზებულ საზოგადოებაში) და თვით ავადმყოფთა ქრონიზაციის გამომწვევი პრობლემები, ფსიქიატრიაში კვალიფიციური კადრების დეფიციტის საკითხები და სხვა.

ყოველივე ეს იჩქმალებოდა. რა შედეგები გამოიღო ასეთმა პოლიტიკამ? მოსახლეობა 50-იანი წლებიდან განიარაღებული აღმოჩნდა აღნიშნულ სოციალურ მანკიერებათა შემოტევის წინაშე. თუ არა ღალატი და პროფესიული უსუსურობა, რა შეიძლება უწოდო იმ ფაქტს, როცა 50-იანი წლების დამლევსა და 60-იანი წლების დამდეგს ჩვენს რესპუბლიკაში, თვით დედაქალაქში ოფიციალურად გაიხსნა ნარკოლოგიური პუნქტები, სადაც მკლავებდაკაპიწებული კონტიგენტი სრული „საჯაროობის" ვითარებაში სისტემატურად და მასობრივად იღებდა ნარკოტიკებს. სწორედ ფსიქიატრიის მესვეურთა რეკომენდაციით ხორციელდებოდა მოსახლეობის ნარკოლოგიური მომსახურების „მეცნიერულად დასაბუთებული" ეს ფორმა. ცინიზმი ამაზე შორს ვერ წავა. მეტიც: ნარკომანიის პრობლემების რომელ გადაწყვეტაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ფსიქიატრიის ინსტიტუტში, მის საბაზო რესპუბლიკურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობის ნაცვლად, პირიქით, ხელს უწყობდნენ ზოგიერთ მათგანს, გაეგრძელებინა ნარკოტიკების მოხმარებაც და გასაღებაც (მხედველობაში გვაქვს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელზეც განიხილეს ეს ფაქტი. რესპუბლიკურმა ტელევიზიამ განხილვის პროცესი მთლიანად გადასცა ეთერში, მთელი რესპუბლიკა გახდა მისი მოწმე)...

იქმნება შთაბეჭდილება და არც თუ უსაფუძვლო, რომ ფსიქიატრიამ მისი მეცნიერ-იდეოლოგების წყალობით საერთოდ დაკარგა თავისი ძირითადი სპეციფიკური სოციალური ფუნქცია, **ფიქტიური მეცნიერება** გახდა და მისი შესატყვისია პრაქტიკული კლინიკური დონეც.

უნებლიედ იბადება კითხვა: ნუთუ ასე დაყრუვდა საზოგადოება და დაკნინდა მედიცინა, რომ ვერ ამჩნევდა ფსიქიატრიაში წლების მანძილზე მიმდინარე რეგრესიულ პროცესებს? ნუთუ არ იყვნენ ადამიანები, ექიმები, რომლებსაც შეეძლოთ ხმა აემაღლებინათ ამის წინააღმდეგ?

რა თქმა უნდა, იყვნენ და, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მდგომარეობაში იქნებოდნენ ისინი, ვინც უძრაობისა და ტოტალიტარიზმის ეპოქაში ვერ ღალატობდა შემოქმედებითი აზროვნების პრინციპებს; ვერ ეგუებოდა თვალთმაქცობის, ორპირობის, მოჩვენებითობისა და სიყალბის ფსიქოლოგიას, ხმას იმაღლებდა კლანური ამბიციებისა და პროფესიული პროსტრაციის წინააღმდეგ.

ასეთი ადამიანები კვალიფიცირდებოდნენ როგორც „არასასურველი", „კონფლიქტური", „შეურიგებელნი", „შეუგუებელნი", „სოციალურად საშიშნი", „მოდავეები" და სხვა და იდევნებოდნენ საწარმო-დაწესებულებებიდან, სამეცნიერო-კვლევითსა თუ სასწავლო ინსტიტუტებიდან — რეპრესიული აპარატის მთელი სიმკაცრით, თვით ფსიქიატრიულ სტაციონარებში იძულებით მოთავსებითაც კი. საამისოდ მოხერხებულად იქნა გამოყენებული ფსიქიატრიის სისტემაში დამუშავებული გაფართოებული დიაგნოსტიკა, რომელმაც თითქმის ადამიანის ქცევის ყოველგვარი ფორმა მოიცვა. ამ ეპოქაში მსგავსი ეპითეტებისა და მრავალგვარი დიაგნოსტიკური ეტიკეტების საგრძნობლად დიდი ლექსიკური ფონდი შექმნა ფსიქიატრიაში შემძვრალმა მლიქვნელებისა და დემაგოგების საკმაოდ ვრცელმა ფორმაციამ, რომელსაც ახლა ბიუროკრატიას უწოდებენ. პროფ. ვ. ბელოვი იძულებულია აღიაროს, რომ ფსიქიატრებს შორის არიან დაცემული ადამიანები, გამომძალველები, მექრთამეები; ყალბი, მათ შორის „შიზოფრენიის" დიაგნოზით მოვაჭრეები და ბევრი სხვა სისხლის სამართლის დამნაშავე, მაგრამ განა ესენი შეადგენენ უმრავლესობას? საჭიროა ფსიქიატრიის რეაბილიტირებაო, დასძენს იგი. ვერაფერი შეღავათია, როცა სამედიცინო დარგს სარეაბილიტაციოდ უხდება საქმე. საზოგადოებამ ჯერ ისიც კი არ იცის, თუ რამდენადაა ბოროტგანზრახულობებით დაინფიცირებული ფსიქიატრია. შეკითხვაზე — არსებობდა თუ არა ორგანიზებული სისტემა ადამიანთა იძულებით ფსიქიატრიულ შემოწმებაზე გაგზავნისა, პროფ. ბ. ლებედევი დასძენს — დიახ, სისტემა ფსიქიატრიაში ადამიანთა არასწორი, იძულებითი გაგზავნისა და დიაგნოსტიკის მიზნით, რა თქმა უნდა, იყო. ასეთი პრაქტიკა გვხვდება დღესაც, აღნიშნავს მთავარი სპეციალისტი კარპოვი, მაგრამ იგი კანონითაც იყო განმტკიცებულიო. ამავე კანონმდებლობის მოშველიებით ზოგიერთნი ცდილობენ გაამართლონ ფსიქიატრიაში არსებული პოლიტიზაციის მავნე პრაქტიკა. განა არსებობს კანონმდებლობის ისეთი მუხლი, რომელიც საღ-სალამათი ადამიანისათვის შიზოფრენიის ან სხვა ფსიქიური დაავადებების დიაგნოზის შეგნებული დასმის უფლებას იძლევა? (მე არ გამოვრიცხავ მხოლოდ უნებლიე შეცდომას, კაზუისტიკას), რა თქმა უნდა, ფსიქიატრიაში შექმნილ მდგომარეობას, როგორც კავშირის მასშტაბით, ისე კონკრეტულად რესპუბლიკაში, ჰყავს თავისი ადრესატი. როგორც აღვნიშნე, სამოცდაათიანი წლების დამლევს და ოთხმოციანი წლების დამდეგს (ეს სრული დუმილის, უძრაობის, მაამებლობის, თვალთმაქცობისა და მოჩვენებითი აღმავლობის ეპოქაა) ჩემსა და ფსიქიატრიის ს/კ ინსტიტუტის ხელმძღვანელობას შორის წარმოიშვა პრინციპული უთანხმოება. ჩემთვის იმთავითვე ნათელი იყო, რომ ათეული წლების მანძილზე რესპუბლიკის ფსიქონევროლოგიურ ქსელში შექმნილ ვითარებაში ბრალი მიუძღოდათ ინსტიტუტის დირექტორს (ა. ზურაბაშვილი), მის მოადგილეს (ბ. ნანეიშვილი), მთავარ ექიმს (ა. მამარდაშვილი), ყოფილ მინისტრს (გ. ლეჟავა) და მათი პოლიტიკის გამტარებელ ჯგუფს. ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი და სამეცნიერო საბჭო ათეული წლების მანძილზე **პრაქტიკულად** იდგნენ მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. მიუღებელ პოზიციებზე ფსიქონევროლოგიური, მით უფრო ქრონიზირებული კონტიგენტის სამედიცინო (როგორც კლინიკური ისე სოციალური) მომსახურების პრობლემების გადაწყვეტის საკითხში. ამის ფესვები აქ უფრო ღრმად უნდა ვეძიოთ. ეს მოხდა იმიტომ, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანელი (ა. ზურაბაშვილი) და მისი მაშინდელი ორიენტაციის მქონე მმართველი ბირთვი ჯერ კიდევ 30-იანი წლების მეორე ნახევარიდან (მით უფრო 1951 წელს, პავლოვის სესიის სახელწოდებით ცნობილი და ფსიქონევროლოგიის მიმართ განხორციელებული ანტიჰუმანური აქციის შემდეგ, რასაც მოჰყვა მსოფლიო ავტორიტეტის მქონე მეცნიერის ი. ბერიტაშვილის სამარცხვინო დისკრედიტაციის პროცესი, მოექცნენ მედიცინაში გაბატონებული ვულგარული მატერიალისტური მეთოდოლოგიის დოგმებისა და სტერეოტიპების გავლენის ქვეშ. მედროვეობა ფსიქიატრიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობის პოლიტიკა გახდა, ყოველგვარი მწვავე პრობლემების მიჩქმალვა და დეზაქტუალიზაცია კი — მეთოდი. მოვლენების განვითარების ლოგიკას მივყავართ დასკვნამდე, რომ ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ მიიღო ტოტალიტარიზმის სოციალური დაკვეთა.

სწორედ ასეთი ცალმხრივი, ვულგარული მატერიალისტური მეთოდოლოგიის პოზიციის გაბატონების შედეგად გახდა შესაძლებელი ფსიქიატრიაში **გაფართოებული დიაგნოსტიკის მავნე პრაქტიკის** დამკვიდრება (რაც ყოველგვარი ბოროტების სათავეა), გადაკეტილი ზონების სტატუსის შემოღება, იძულებითი მეთოდების დანერგვა და მისი განუკითხავი გამოყენებაც. ამ პროცესს კავშირის მასშტაბით სათავეში ჩაუდგა აკადემიკოსი ა. სნეჟნევსკი, საქართველოში კი — ა. ზურაბაშვილი და მისი კულტის მსახურები. შიზოფრენიის ისედაც ჰიპერტროფიულ კლასიფიკაციას დაემატა ახალი დიაგნოზი სახელწოდებით „დუნედ მავალი შიზოფრენია", რომელიც ნებისმიერ პირობებში შეიძლება მიუსადაგო მწვავე თუ პროლონგირებულ სტრესულ სიტუაციებში მყოფ ნებისმიერ მოქალაქეს, (ახლა ეს დიაგნოზი ამოღებულია რეგისტრაციიდან). წლების მანძილზე ამ ავთვისებიანი დაავადების დიაგნოზის გაფართოებული კლასიფიკაციის გამოყენების შედეგად კატასტროფულად გაფართოვდა კონტიგენტის ოდენობა ქსელში. ამან უაღრესად მძიმე გართულებები შეუქმნა ყოველმხრივ, როგორც თვით ამ დიაგნოზით კვალიფიცირებულ პირებს, ისე მათ ოჯახებს, საზოგადოებას და თვით სახელმწიფოს. რა თქმა უნდა ა. სნეჟნევსკიმ ისევე, როგორც ა. ზურაბაშვილმა, შესანიშნავად იცოდნენ, თუ რა სოციალურ შეზღუდვებთან იყო დაკავშირებული ასეთი გაფართოებული დიაგნოსტიკა, რასაც ასე ფართოდ გაუხსნეს მწვანე გზა. რა შეიძლება ეწოდოს ამ ანტიჰუმანურ და ანტიფსიქიატრიულ პოზიციას?

როგორც აღნიშნავს საბჭოთა კავშირში ახლად შექმნილი დამოუკიდებელ ფსიქიატრთა ასოციაციის თავმჯდომარე ი. სავენკო, ეს არის ნათელი მაგალითი **ტალანტის დაცემისა**, რომელმაც მიიღო ხელმძღვანელის პოსტი ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში. **ა. სნეჟნევსკის სკოლის დიქტატურას კავშირის მასშტაბით და ა. ზურაბაშვილის მონოპოლიას საქართველოში** შედეგად ის მოჰყვა, რომ სწრაფად დაიწყო ფსიქიატრიის დეგრადაცია ნოზოლოგიზმის პოზიციებიდან ერთიანი ფსიქოზის კონცეფციამდე. უფრო მეტიც: „შიზოფრენიის" დიაგნოზმა თითქმის მთლიანად მოიცვა ფსიქონევროლოგიის სფეროში მოქცეული კონტიგენტი. ამ გარემოებაზე მეტყველებდა ჩვენს ხელთ არსებული მრავალთა შორის ერთ-ერთი სტატისტიკური მაჩვენებელიც. კერძოდ; სტაციონარში მყოფი ყოველი ასი (100) ავადმყოფიდან 80-85 პროცენტი, თუ არა მეტი, კვალიფიცირებული იყო და არის, როგორც შიზოფრენიით დაავადებული. როგორც ადრე აღვნიშნე, ჩვენს ხელთ არსებულ სტატისტიკურ მასალებს არ ეწერა დღის სინათლეზე გამოტანა და შეფასება სწორედ ა. ზურაბაშვილისა და მისი უახლოესი თანამოაზრეების მძლავრი ობსტრუქციის გამო. საქმე ისაა, რომ ეს მაჩვენებლები აშიშვლებდა ამ სკოლის ფიქტიურ მეცნიერულ სახეს. რა პრაქტიკულ შედეგებამდე მიიყვანა საზოგადოება ამ გაკოტრებულმა მეცნიერებამ? საზოგადოების, სახელმწიფოს და ქვეყნის წინაშე **წარმოიშვა მეცნიერული უმეცრების** (იგივე ღალატის) შედეგად შექმნილი გლობალური პრობლემა — სად განეთავსებინათ შიზოფრენიის ჰიპერტროფიული კლასიფიკაციით დიაგნოზდასმული დაავადებულთა სულ უფრო მზარდი და ქრონიზირებული კონტიგენტი სხვებთან ერთად?

და აი, მოიძებნა სამარცხვინო და ანტიჰუმანური, ნახევრადფეოდალური ხანის შესატყვისი გამოსავალი. გაიხსნა პერიფერიული სტაციონარები ქალაქებიდან შორს — მოწყვეტილი საზოგადოებას, ავ თვალს. ასეთებია ბედიანის (წალკის), წინწყაროს (თერჯოლა) საავადმყოფოები 1000-1500 საწოლზე და სხვაც. ეს საავადმყოფოები მთელი თავისი ტრაგიზმით უფრო რეზერვაციებია და მიგდებული ბედლამები, ვიდრე სამედიცინო ფუნქციის მატარებელი დაწესებულებები. საჭიროა იგი ნახოს ადამიანმა, ჩაიხედოს მის სიღრმეში, ჩაწვდეს იქ ადამის მოდგმის ყოფიერებას, რათა დასკვნები გამოიტანოს. 50-იანი წლებიდანვე დაედო სათავე იმ მავნე ტენდენციას, **როცა პრაქტიკულად უგულვებელყოფილია** ფსიქიატრიაში ფსიქონევროლოგიური კონტიგენტის პროფილაქტიკის, დაავადების ეტიოპათოგენეზის, მკურნალობის, რეაბილიტაციის, თერაპიული, კლინიკური და სოციალური პროგნოზირების პრობლემების გადაწყვეტისას ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური კვლევა-ძიებანი. ესეც გასაგებია, რადგან ა. ზურაბაშვილის და მისი ჯგუფის მონოპოლია ფსიქონევროლოგიაში აბსოლუტურად გამორიცხავდა ალტერნატიული პოზიციის თვით შესაძლებლობასაც კი.

ფსიქიატრიიდან ფაქტობრივად განიდევნა ფსიქოლოგია, სოციოლოგია, პედაგოგიკა და სხვა. ამას შედეგად მოჰყვა ისიც, რომ რესპუბლიკაში პრაქტიკულად თანდათანობით ჩაკვდა ფსიქოთერაპიის მიმართულებით მუშაობა, ამ სიტყვის ფართო გაგებით. დაკნინდა და გაღარიბდა ექიმ-ფსიქიატრის სამკურნალო-კორექციული ზემოქმედების სპექტრი. ფსიქიატრმა დაკარგა მისი მთავარი კომპლექსური ინსტრუმენტის — ფსიქოთერაპიის ცოდნაც და გამოყენების უნარიც. ძირითადი აქცენტი გადაიტანეს მკურნალობის ბიოლოგიურ (მედიკამენტოზურ) მეთოდებზე.

ფსიქიატრიის ბიოლოგიზაციამ, რაც ხდებოდა სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევებისა და შესაბამისი მეთოდების იგნორირების ხარჯზე, საბოლოო ჯამში ჩიხში მოაქცია ათასობით კონტიგენტის რესოციალიზაციის, მათი საზოგადოებრივი და ინდივიდუალური სტატუსის აღდგენის ჰუმანური საქმე. ნორმის და პათოლოგიის განსაზღვრისა და დიფერენციული გადაწყვეტის უაღრესად საპასუხისმგებლო სამედიცინო, სამართლებრივი და სოციალური აქცია, მით უფრო სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა ცალმხრივი განკითხვის, ხოლო რიგ შემთხვევაში ორგანიზებულ დამნაშავეთა ხელში აღმოჩნდა. დაგროვდა ათასობით ქრონიზებული კონტიგენტი, რომელიც განთავსებულია ქრონიკული ტიპის დიდ სტაციონარებში — შორს ავი თვალისაგან; საზოგადოებისაგან იზოლირებული, ქალაქიდან მოწყვეტილი და მოკლებული ბიოლოგიური მკურნალობის პარალელურად საზოგადოებრივ, საწარმოო-შრომითს ურთიერთობაში ადექვატური და დიფერენციული ინტეგრირების შესაძლებლობებს. **რეალურად ფსიქიატრიის ს/კ ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ უარყო სოციალური ფსიქიატრიის მიმართულებით მუშაობა და ათასობით ქრონიზებული კონტიგენტის ბედი, მათი სოციალური პროგნოზირება** ღვთის ანაბარად დარჩა.

ძნელია, მაგრამ აუცილებელი და საჭიროა ამ დანაშაულებრივი პოლიტიკის ახსნა. მრავალ მიზეზთა შორის ერთი მნიშვნელოვანი მიზეზთაგანი ისაა, რომ ფსიქიატრიის ს/კ ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ განიცადა **მეცნიერული დეგრადაცია**, ხოლო თვით ორგანიზაციამ დაკარგა **მეცნიერული პოტენციალი**. მას მხოლოდ ეტიკეტი შერჩა. ინსტიტუტში ფესვი გაიდგა მედროვეობამ, მამაშვილობამ, ოჯახურ-ნათესაურმა კოოპერაციამ, რის შედეგადაც მოხდა ინსტიტუტის, როგორც სახელმწიფო დაწესებულების სრული ბიუროკრატიზაცია. აქედან გამომდინარე ყოველგვარი ნეგატიური მოვლენებით. ათეული წლების მანძილზე ქსელში შექმნილი ვითარება ამის უტყუარი და ობიექტური დასტურია. ფსიქიატ[illegible] კარგა რეალური ავტორიტ[illegible] ცხადია, ნდობაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულით აიხსნება ის, რომ ოფიციალური ფსიქიატრიული ქსელიდან პრაქტიკულად თანდათანობით გავიდა ძალიან დიდი კონტიგენტი, რომელიც აღმოჩნდა ე. წ. ბიოენერგეტიკოსების, ექსტრასენსების, პარაფსიქოლოგების, პრატრადიციული მეთოდებით მკურნალი და საერთოდ მედიცინისაგან შორს მყოფი, მათ შორის შემთხვევითი პირების უშუალო გავლენის სფეროში.

ფსიქიატრის რომელ ავტორიტეტზე შეიძლება ლაპარაკი იქ და იმ ვითარებაში, სადაც ფსიქიატრიული დიაგნოზებით ვაჭრობას ორგანიზებული და მიზანმიმართული სახე აქვს, როცა რიგითი ექიმების გვერდით მილიონებით მკითხველი პრესის მეოხებით ეცნობა ამ საქმეში მონაწილე კანდიდატების, დოქტორების, ხელმძღვანელების, მთავარი ექიმის; თვით საკავშირო ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ფსიქიატრის ჩურკინის გვარს, რომელთაგან უმეტესობა დამსახურებულ სასჯელს იხდის.

ეს მასალები ქვეყნდება ცენტრალურ პრესაში, მათ შორის სერიალის სახით გამოქვეყნდა საკავშირო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორგანოში, „მედიცინსკაია გაზეტაში". როცა მასობრივი მკითხველი ეცნობა მასალებს, თუ როგორ ავარჯიშებენ ექიმები საღსალამათ ადამიანებს სულით დაავადების იმიტაციის, სიმულირების მიზნით, რათა სასურველი დიაგნოზი მიიღონ, ან პირიქით, როცა „ურჩი" ფსიქიატრი არ ეთანხმება კომისიის დასკვნას, რის გამოც თვითონ მას ათავსებენ ფსიქიატრიულ კლინიკაში, ფსიქიატრის ავტორიტეტზე ლაპარაკიც კი უხერხულია.

რა თქმა უნდა, ჩვენი რესპუბლიკა გამონაკლისი როდია ფსიქიატრიული დიაგნოზების განუკითხავი გამოყენებისა და მოქალაქეებისადმი მისადაგების პრაქტიკის თვალსაზრისით.

იმისათვის, რომ აეცილებინათ საზოგადოების „ავი თვალი", ცხადია, საჭირო იყო დუმილისა და აკრძალული ზონის პრინციპის დაცვა, რაც ჩინებულად შეასრულა ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ. პოზიტიური მეცნიერული კვლევა-ძიება შეცვალა სიყალბემ, ფორმალიზმმა და მოჩვენებითობამ. ასეთია ზურაბაშვილის „სკოლის" ხანგრძლივი მეცნიერული მოღვაწეობის საბოლოო შედეგი და კიდევ უფრო მძიმე პერსპექტივა, თუ ძირეულად არ შეიცვალა, თვისებრივად არ გარდაიქმნა ამ ინსტიტუტისა და საერთოდ ფსიქიატრიაში მეთოდოლოგიური, ორგანიზაციული, სამეცნიერო-კვლევითი და საკადრო პოლიტიკა. თუ არ იქნა დაგმობილი ინსტიტუტში გაბატონებული კასტური, ოჯახური **მონოპოლია, რომელიც ყოველგვარი ბოროტების სათავეა**, მთელს ფსიქონევროლოგიურ ქსელში, თუ ფსიქიატრიაში, ჩვენი ღრმა რწმენით, არ შეიქმნა ალტერნატიული სამეცნიერო სტრუქტურები, არ დამუშავდა სულით დაავადების დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და რეაბილიტაციის განმსაზღვრელი კრიტერიუმების თვისებრივად ახალი სისტემა, თუ საზოგადოების იდეოლოგიურმა ინსტიტუტებმა საჯარო კონტროლი არ დაუწესეს ფსიქიატრიას.

ილუზიის რა დიდი ოსტატიც უნდა იყო, უბრალო მოკვდავ ობივატელსაც ვერ დააჯერებ, რომ რაიმე შედეგი შეიძლება ჰქონდეს „მეცნიერულად დასაბუთებულ მაღალკვალიფიციურ" მკურნალობას იმ საავადმყოფოში, სადაც განყოფილებები ტუალეტის მოვალეობას ასრულებს. საკითხავია — საერთოდ საჭიროა კი ასეთი ვაი-მეცნიერება? პირიქით, როგორიც არის რეალურად ფსიქიატრიული საავადმყოფო, ისეთივე რეალური ფასი აქვს იქ „მეცნიერულ მოღვაწეობას". განა გასაკვირია ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, თუ რატომ არის უკიდურესად დაბალი ფსიქონევროლოგიური კონტიგენტის კვალიფიციური სტაციონარული და დისპანსერული მომსახურება? რატომ სუფევს განუკითხაობა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის, ნარკოლოგიური და სოციალურ-შრომითი რეაბილიტაციის საქმეში?

როცა ვამბობთ, რომ ათასობით აღრიცხვაზე მყოფი ფსიქონევროლ-

(დასასრული მე-6 გვ.)

# შვიდი შეკითხვა სერგეი სტანკევიჩს

(დასასრული)

უნდა ვიპოვოთ საკუთარ თავში ძალა, გამბედაობა და მივუსხდეთ მრგვალ მაგიდას. ჩვენ, როგორც ყოველთვის, აქაც დავაგვიანეთ. მოლაპარაკებები ახალი სამოკავშირო ხელშეკრულებების დასადებად ერთი წლის წინ უნდა დაგვეწყო. ამ შემთხვევაში დღეს ხელთ გვექნებოდა ამ დოკუმენტის პროექტი და გასარკვევი დაგვრჩებოდა მხოლოდ კერძო საკითხები, ვთქვათ, განსაკუთრებული გარანტიები კალინინგრადის ოლქისათვის, ვილნიუსის მხარის, კლაიპედის სტატუსი, საზღვაო პორტებით სარგებლობის წესები, გარანტიები რუსულენოვანი მოსახლეობისთვის.

ასეთი ხელშეკრულების პროექტი არ არსებობს, დრო კი არ იცდის. იძულებული ვართ, სასწრაფოდ რაღაც გზა გამოვძებნოთ. ლიტვის მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რომ ჩვენი კავშირი უეჭველად გადავა თვისებრივად ახალ მდგომარეობაში. გადასვლა ნაწილობრივ უკვე მიმდინარეობს. იმისათვის, რომ ეს პროცესი ორგანიზებულად წარიმართოს, საჭიროა წინ გავუსწროთ მოვლენებს.

**— რამდენად მართებულად მიგაჩნიათ ახალი ხელშეკრულებების დასადებად მოლაპარაკებების დაწყება დღევანდელ ვითარებაში, როდესაც წითელი არმიის ნაწილები, საოკუპაციო ჯარები დგანან ბალტიისპირეთში, ამიერკავკასიაში, სხვა რესპუბლიკების ტერიტორიებზე.**

— მოლაპარაკებების დაწყება სწორედ ასეთ ვითარებაში მოგვიწევს. რაოდენ მნიშვნელოვანიც უნდა იყოს მოკავშირე რესპუბლიკებს, ცენტრსა და რესპუბლიკებს შორის ურთიერთობების მოწესრიგება, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ არსებობს კიდევ საბჭოთა კავშირის გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური მდგომარეობა. მე მესმის, საერთაშორისო არენაზე ამ ბოლო ხანს მომხდარი მოვლენები, ცოტა არ იყოს, ეიფორიულად აღიქმება. მიუხედავად ამისა, ჩვენი თავდაცვა ჯერ არავის გაუუქმებია და სავსებით გასაგებია, რატომ დგანან წითელი არმიის ნაწილები სახელმწიფო საზღვრებთან, მნიშვნელოვან სტრატეგიულ წერტილებში, რომელი რესპუბლიკის ტერიტორიაზეც არ უნდა მდებარეობდეს ისინი. ბალტიისპირეთში, რბილად რომ ვთქვათ, საკმაო რაოდენობით არის საბჭოთა ჯარიც და სამხედრო ბაზებიც. ამ ფაქტმა, როგორც ვხედავთ, ვერ შეუშალა ხელი ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს, თუნდაც ლიტვის მთავრობას, ერთობ თამამად და გაბედულად ემოქმედა.

**— როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია საბჭოთა კავშირში უახლოეს დროში სამხედრო გადატრიალება მოხდეს?**

— დღესდღეობით შეუძლებელია. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი რესპუბლიკებში გადაინაცვლებს. თუ ერთი წლის შემდეგ შემეკითხებით, შესაძლებელია თუ არა სამხედრო გადატრიალება რუსეთში, მე მომიწევს ამ საკითხზე დაფიქრება. ჯერ-ჯერობით კი ვერ ვხედავ რეალურ საფრთხეს.

**— როგორ აფასებთ აკადემიკოს სახაროვის მიერ შემოთავაზებულ კონსტიტუციის პროექტს. ხომ არ ხელყოფს ეს პროექტი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი სუვერენული სახელმწიფოების უფლებებს. პროექტში ნათქვამია, რომ რესპუბლიკაში იმდენი სახელმწიფო ენა იქნება, რამდენი ეროვნებაც ცხოვრობს მის ტერიტორიაზე. ესე იგი, საქართველოში სახელმწიფო ენებად გამოცხადებული იქნება სომხური, თათრული, რუსული, ბერძნული, ოსური... რომელი ერთი ჩამოვთვალო. მე მესმის, რომ პროექტის ავტორი ხალხთა თანასწორუფლებიანობის პრინციპით ხელმძღვანელობს, მაგრამ ცოტა უხერხული ხომ არ არის რესპუბლიკის ძირითადი მოსახლეობის მშობლიურ ენას თავის სამშობლოში, თავის ისტორიულ მიწაზე არავითარი უფლებები არ გააჩნდეს. გარდა ამისა, სახაროვის პროექტი ათანასწორებს მოკავშირე რესპუბლიკას ავტონომიურ რესპუბლიკასთან, ავტონომიურ ოლქთან. იგი განიხილავს მოკავშირე რესპუბლიკას, როგორც საბჭოთა კავშირის ეროვნულ-ტერიტორიული სტრუქტურის შემადგენელ ნაწილს. საქმე ისაა, რომ მოლდავეთი, საქართველო, ესტონეთი... საბჭოთა კავშირის ეროვნულ-ტერიტორიული ერთეულები კი არა, სუვერენული სახელმწიფოებია. სწორედ ამას არ ითვალისწინებს ზემოთხსენებული პროექტი.**

— მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკები ჩვენი გამოგონებაა, სტალინის მიერ შემოღებული და განხორციელებული. არ შეიძლება ხალხების დაყოფა კატეგორიების მიხედვით. აკადემიკოს სახაროვის პროექტის ამოსავალი წერტილიც ეს არის. თავის დროზე დაყოფა ხელოვნურად მოხდა. საზღვრებიც ხელოვნურად გატარდა. ეს ჩვენი მძიმე მემკვიდრეობაა. მე მესმის, რომ საქართველოსათვის ეს არის აფხაზეთისა და ოსეთის პრობლემა. ეთნოკონფლიქტებიდან ერთადერთი გამოსავალია თანასწორუფლებიანობა, ურთიერთპატივისცემა, მოლაპარაკებები თანაბარ პირობებში. სხვა გზა არ არსებობს.

**— როგორ გესახებათ რეგიონთაშორისი სადეპუტატო ჯგუფის მომავალი?**

— უახლოეს დროში რეგიონთაშორისი ჯგუფი ბლოკად იქცევა. მასში რამდენიმე ჯგუფი შევა. ბლოკში შევა ის ჯგუფიც, რომელიც თვლის, რომ გორბაჩოვი დიქტატურისაკენ მიდის და თავის მთავარ მიზნად ამ პროცესთან ბრძოლას ისახავს. პირადად მე კონსტრუქციულ ოპოზიციონერთა ჯგუფში ვიქნები. რეგიონთაშორის ბლოკს გაცილებით მეტი დეპუტატი დაუჭერს მხარს, საგრძნობლად გაფართოვდება ჩვენი პოტენციური მომხრეების რიცხვი. ხელფეხი გაეხსნებათ მათ, ვისაც სურდა რეგიონთაშორის ჯგუფში გაერთიანება, მაგრამ ერიდებოდა აფანასიევთან და გდლიანთან ერთად სიაში მოხვედრას. თუ რადიკალურად განწყობილი ჯგუფი ჩათვლის, რომ ამა თუ იმ საკითხში დათმობა არ შეიძლება, მას უფლება ექნება, იმოქმედოს დამოუკიდებლად და ამავე დროს არ ჩაითრიოს სხვა ჯგუფები. ბლოკს არ ეყოლება ერთპიროვნული ლიდერი. ყველა ჯგუფს თავისი ლიდერი უხელმძღვანელებს, თავიანთ საქმიანობის კოორდინირებას კი ბლოკი ლიდერთა საბჭოს მეშვეობით მოახდენს.

**— როგორ აფასებთ პოლიტიკური ორგანიზაციის, „დემოკრატიჩესკაია როსიას“, საქმიანობას?**

— ბოლო დროს ეს ჯგუფი რატომღაც აღარ აქტიურობს. მე კარგად ვიცნობ მის დამაარსებლებსა და ლიდერებს, არ ვეთანხმები მათ პრინციპულ საკითხებში. მიუღებელია მათი ტაქტიკა, დემონსტრაციული აქციები, პორტრეტების დახევითა და დროშების დაწვით, არასასურველ პირთა მიმართ უხეში, შეურაცხმყოფელი გამოხდომებით. ამ ჯგუფს არა აქვს პოლიტიკური მომავალი.

**— ხომ არ იცით, რა გეგმები აქვს გორბაჩოვს ე. წ. ასდღიანი გამოსაცდელი ვადის განმავლობაში?**

— არ ვიცი, დიდი ხანია არ უთათბირია ჩემთან. რაც მთავარია, მას აღარ ელის დარტყმა თავისი საკუთარი პარტიის მხრიდან. ცენტრალური კომიტეტი ველარ შესძლებს მისი, როგორც გარდაქმნის ლიდერის, გადაყენებას. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია. მთავარი ის არის, როგორ, რა მიზნებისთვის გამოიყენებს გორბაჩოვი შექმნილ სიტუაციას.

ესაუბრა
**მაია გოგოლაძე**

**მინაწერი: ძვირფასო მკითხველო, ალბათ თქვენთვის მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო „რუსული დემოკრატიის თვალსაჩინო წარმომადგენლის“ პასუხები. „რუსული დემოკრატია“ იმპერიის იქით ველარ იხედება და ყოველთვის ახალ სამოკავშირო ხელშეკრულებას უბრუნდება, ილვწის და იბრძვის ამისთვის.**

# ინფორმაცია ლატვიიდან

**ამჟამად რიგაში საკმაოდ დაძაბული ვითარებაა. 3 მაისს იხსნება ლატვიის უმაღლესი საბჭოს სესია, რომელზეც ლატვიის დამოუკიდებლობის დეკლარაცია უნდა მიიღონ. ლატვიის დამოუკიდებლობა გამოცხადდება იმ შემთხვევაში, თუ დეკლარაციას 201 დეპუტატიდან სულ მცირე 132 დაუჭერს მხარს. ჯერ-ჯერობით დამოუკიდებლობის მტკიცე მომხრეა 122 დეპუტატი, 9 დეპუტატი მერყეობს (17 ადგილი პარლამენტში კვლავაც ვაკანტურია, მაგრამ სესიის დაწყებამდე უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა შეივსება).**

**ინტერფრონტი, ადგილობრივი პარტიული ხელმძღვანელობა და არმიის წარმომადგენლები ყოველნაირი ხერხების გამოყენებით ცდილობენ, არ დაუშვან დამოუკიდებლობის დეკლარაციის დამტკიცება ლატვიის უმაღლესი საბჭოს მიერ (დამოუკიდებლობის დეკლარაცია მიიღო ლატვიის სახალხო ფრონტის II ყრილობამ და ჩაწერა სახალხო ფრონტის II პროგრამაში 1989 წლის ოქტომბერში).**

**ლატვიელთა უდიდესი უმრავლესობა მხარს უჭერს ლატვიის დამოუკიდებლობას. ლატვიაში მცხოვრები რუსების დაახლოებით მესამედი ასევე მომხრეა ლატვიის განთავისუფლებისა. ხალხში საბრძოლო განწყობილება სუფევს: თვლიან, რომ ახლა უკან დახევა აღარ შეიძლება, აცხადებენ, რომ არ მიატოვებენ ლიტვას განსაცდელში.**

**სამწუხაროდ, ლატვიის მთავრობა არ გამოხატავს ხალხის მისწრაფებას. რიგაში ამჟამად ბენზინის მწვავე ნაკლებობაა და ამის გამომწვევი, მოქალაქეთა აზრით, მოსკოვი კი არ არის, არამედ ლატვიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვილკის ბრესისი, რომელიც ჩაებღაუჭა რა გორბაჩოვის წინადადებას, ლატვიას მიანიჭოს შემადგენლობაში, ხელოვნურად სპეციალური სტატუსი სსრკ-ს შექმნილი სიძნელეებით ცდილობს საკუთარ ხალხს უარი ათქმევინოს დამოუკიდებლობაზე.**

**22 აპრილს გაიმართა ლატვიის ადგილობრივი და უმაღლესი საბჭოების დეპუტატების შეკრება. შეკრებაში მონაწილეობდა 8086 დეპუტატი. მათგან 8003 ხელი მოაწერა მოთხოვნას ლატვიის უმაღლესი საბჭოს სესიის დღის წესრიგში შეიტანონ ლატვიის დამოუკიდებლობის საკითხი.**

**ლატვიის სახალხო ფრონტმა და „ლატვიის ეროვნული დამოუკიდებლობის მოძრაობამ“ ჩაატარეს კანონიერი მოსახლეობის ჩაწერა ლატვიის ეროვნულ კონგრესში. კონგრესის წევრია 800000 კაცი.**

**ლატვიელი ხალხი აქტიურად მოითხოვს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენას.**

**მარიამ ლომოური,**
**სპეციალური კორესპონდენტი.**
**რიგა, 24 აპრილი.**

# ქრონიკა

**ვაშინგტონი. როგორც აშშ-ს პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა თავის ოფიციალურ გამოსვლაში, ამერიკელი მოქალაქეების უდიდესი ნაწილი მხარს უჭერს მის პოლიტიკას ლიტვის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ საკითხებში. ბუშის თქმით კონგრესთან კონსულტაციის შემდეგ, იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ახლა არ არის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების მიღების დრო.**

**ამავე დროს, ამერიკელ კონგრესმენებთან ტელეფონით საუბრისას ლიტვის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ლანდსბერგისმა განაცხადა, რომ სსრკ ცდილობს ლიტვის „მოხრჩობას“ ეკონომიკური ბლოკადის საშუალებით; მან ისიც აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას შეცდომაში შეჰყავს დასავლეთის ქვეყნები, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებული შტატები.**

**პარიზი. 25 აპრილს აქ შედგა დასავლეთ გერმანიის კანცლერ ჰ. კოლის შეხვედრა საფრანგეთის პრეზიდენტ ფ. მიტერანთან. 2 საათიანი საუბრის შემდეგ შეხვედრის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ მათ შეიმუშავეს ერთობლივი პოზიცია ევროპის ერთიანობისა და გერმანიის გაერთიანების პრობლემებთან დაკავშირებით. რაც შეეხება ლიტვის საკითხს, როგორც შეხვედრის შემდეგ განაცხადა გფრ-ს კანცლერმა ჰ. კოლმა, დასავლეთმა ჯერჯერობით თავი უნდა შეიკავოს მოსკოვის წინააღმდეგ სანქციებისაგან, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალონ „პერესტროიკის“ პროცესს.**

# ზბიგნევ ბჟეზინსკი:
# „საბჭოთა კავშირს... მომავალი არ უწერია“

**ლიტვის საკითხი კვლავ მსოფლიო პოლიტიკის ყურადღების ცენტრშია. სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურმა მოღვაწეებმა და პოლიტოლოგებმა არა ერთი გამოსვლა თუ წერილი უძღვნეს ამ პრობლემას. გასულ კვირას საინტერესო განცხადებით გამოვიდა ცნობილი ამერიკელი სოვეტოლოგი, 1977-80 წწ აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უშიშროების საკითხებში ზბიგნევ ბჟეზინსკი. გთავაზობთ ამ განცხადების შინაარსს:**

ამ ბოლო დროს, უახლესი დასავლური მოდის კოსტიუმებში გამოწყობილი „ახალი ტიპის“ საბჭოთა პროპაგანდისტები, რომლებსაც შეთვისებული აქვთ ამერიკელი მაყურებლის სიმპათიებზე ორიენტირებული პოლიტიკური კლიშეები, ხშირად გამოდიან ტელევიზიით ლიტვის საკითხთან დაკავშირებულ დისკუსიებში. ეს პროპაგანდისტები იმდენად ერთმანეთის მსგავსსა და ყრაფეროვან არგუმენტებს გამოთქვამენ ლიტვის შესახებ, რომ შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ეს არგუმენტები დამზადებულია შეერთებული შტატების შემსწავლელი რომელიღაც საბჭოთა ცენტრების კონვეიერებზე. საბჭოთა პროპაგანდისტების გამონათქვამები შემდეგ ცნებებზეა დამყარებული: „განქორწინება“, „კონსტიტუცია“, „ლინკოლნი“ და „სამოქალაქო ომი“. თითოეული ეს ცნებათაგანი მოწოდებულია დაარწმუნოს ამერიკელები, რომ საბჭოთა კავშირი, „პერესტროიკა“ და სსრკ-ამერიკის მშვიდობიანი მოლაპარაკებები საფრთხეშია ჩავარდნილი „მავნე“ ლიტველების გამო.

მცირე კომენტარი გავუკეთოთ ზემოხსენებულ ცნებებს.

**„განქორწინება“:** საბჭოთა კავშირი და ლიტვა, როგორც ირწმუნებიან საბჭოთა პროპაგანდისტები, „შეუღლებულნი არიან“ და თუ საჭიროა მათი „განქორწინება“, მაშინ ცხადია, აუცილებელია „განქორწინების კანონის“ არსებობაც, კრემლი ამ პროცესის მოწესრიგებას ცდილობს მხოლოდ. მაგრამ ის ფაქტი, რომ ზემოხსენებული კანონი, პრაქტიკულად, საფუძველშივე ეწინააღმდეგება ასეთ „განქორწინებებს“, შეგნებულად მიჩქმალულია. ამ განცხადებებში მნიშვნელოვანი მომენტია შემდეგი ანალოგიის არსებობაც: რადგან საჭიროა „განქორწინება“, ე. ი. იყო კანონიერი „ქორწინებაც“. ამასთან საბჭოთა პროპაგანდისტები ხმამაღლა აცხადებენ, რომ ლიტვა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდა სტალინ-ჰიტლერის პაქტის შედეგად. ასე, რომ, ჩვენის აზრით, უფრო სწორი იქნებოდა საუბარი არა „ქორწინებაზე“, არამედ „მოტაცებასა“ ან „გაუპატიურებაზე“.

**კონსტიტუცია:** საბჭოთა წარმომადგენლები თავდაჯერებულად აცხადებენ, რომ ისინი კონსტიტუციური პროცესის მომხრეები არიან, იციან რა კონსტიტუციის მითოსურ რანგში აყვანილი მნიშვნელობა ამერიკელებისათვის, პროპაგანდისტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ლიტვამ საბჭოთა კონსტიტუციის შესაბამისად უნდა იმოქმედოს, მაგრამ ამასთან არ აღიარებენ, რომ საბჭოთა კონსტიტუცია თავის დროზე სტალინის მიერ დაწერილი და ბრეჟნევის მიერ გადაწერილი ქაღალდის ნაგლეჯია, რომ ეს დოკუმენტი წარმოადგენს იმპერიის მმართველი წრეების მიერ საკუთარი კეთილდღეობისათვის შემუშავებულ მითითებების კრებულს და არავითარი საერთო არა აქვს ჭეშმარიტად დემოკრატიულ კონსტიტუციებთან.

**ლინკოლნი:** საბჭოთა პროპაგანდისტების ლექსიკონში სრულიად მოულოდნელად შემოვიდა ამ ამერიკელი პრეზიდენტის გვარი. და ზოგიერთი მათგანი დაუფარავადაც კი აცხადებს, რომ საბჭოთა პრეზიდენტი მ. გორბაჩოვი გარდასახული აბრაამ ლინკოლნია, რომელიც „წმინდა კავშირს“ იცავს. ერთი ნაბიჯიღა რჩება იმ მტკიცებამდე, რომ როგორც „ბოროტი“ სამხრეთელები იმონებდნენ ზანგებს, ასევე ლიტველები აპირებენ „დაუცველი რუსი უმცირესობის“ დამონებას. ამ შემთხვევაშიც იგნორირებულია იმ გზების განსხვავებულობა, რომელთა საშუალებითაც მივიდნენ ხელისუფლების სა- [illegible] ვე, იჩქმალება ამ ორი პიროვნების შეხედულებებს შორის არსებული ფილოსოფიური უფსკრული და ბოლოს, ის მნიშვნელოვანი ფაქტიც, რომ აბრაამ ლინკოლნი თავის მოწინააღმდეგეებს — სამხრეთელებს — ერთ ენაზე ელაპარაკებოდა, მაშინ როცა გორბაჩოვი არ ლაპარაკობს არც ლიტვურად, არც ესტონურად, არც ქართულად და არც უკრაინულად.

**სამოქალაქო ომი:** ომის აჩრდილიც ხშირად ფიგურირებს ახალი ტიპის საბჭოთა პროპაგანდისტების განცხადებებში. უპირველეს ყოვლისა, — ამბობენ ისინი, — ყოველ ერს აქვს უფლება, თავიდან აიცილოს სახელმწიფო ტერიტორიის დაყოფა, სამოქალაქო ომები და სხვა. ამასთან, მაგალითად მოჰყავთ ინგლისელების პოლიტიკა ჩრდილოეთ ირლანდიაში. ამ არგუმენტის უსუსურობა იმაში მდგომარეობს, რომ სსრკ არც ერია და არც კავშირი, არამედ ის იმპერიაა და ერები ებრძვიან მას საკუთარი თავისუფლების მოპოვებისათვის. ლიტველები დღესდღეობით ამ ბრძოლის ავანგარდში დგანან და მათ სხვა ერებიც მიჰყვებიან, რომლებსაც საბჭოთა კავშირიდან გამოყოფა სურთ.

მოკლედ, საკითხი მეტად სერიოზულია და საბჭოთა პროპაგანდისტები ცრუ ლოზუნგებით არ უნდა ცდილობდნენ ამერიკელების გაბრიყვებას. ჩვენი პოზიცია ამ პრობლემასთან დაკავშირებით უნდა დაეფუძნოს იმის გაცნობიერებას, რომ აგონიაში მყოფ, მსოფლიოს ამ უკანასკნელ იმპერიაში მიმდინარე ეროვნული კრიზისი მეტად რთული და მნიშვნელოვანია. ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ ეს მწვავე პრობლემები მოლაპარაკებების გზით გადაიჭრას. იმპერიის დაშლა იმდენად მშვიდობიანად უნდა განხორციელდეს, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ყველამ უნდა შეიგნოს ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირს, როგორც სახელმწიფო წარმონაქმნს, მომავალი არ უწერია.

**დღესაც,** როცა რომელიმე თავადი თავის ადგილ-მამულს სხვა ერის წარმომადგენლებზე ჰყიდის, ჩვენს პრესაში განგაში ატყდება ხოლმე: რატომ ქართველებს არ მიჰყიდაო. იმიტომ არ მიჰყიდა, რომ სხვამ ქართველებზე მეტი მისცა. პატრიოტულის მიზნით და პატრიოტული გრძნობის ზეგავლენით ადგილ-მამულს არავინ არა ჰყიდის, — ყველას გაჭირვება აყიდვინებს და უსაფუძვლო საყვედურია, როცა ჩვენს თავადებს ვუსაყვედურებთ, რატომ ქართველ გლეხებს არ უთმობთ თქვენს მიწებს ნაკლებ ფასში, როცა სხვები მეტს გაძლევენო.

საყვედურის ღირსი ჩვენ თვითონა ვართ, — მთელი ქართველი ინტელიგენცია. რა გავაკეთეთ, რა ზომა ვიხმარეთ, რომ ჩვენი მიწა-წყალი ხელიდან არ წაგვსლოდა? რა ზომას ვხმარობთ ან ახლა, ან გვინდა, რომ ვიხმაროთ შემდეგში, რათა ჩვენი მიწა-წყალი ისევ ჩვენ ხალხს დარჩეს? ქართველ თავადიშვილებს ვურჩევთ, ჩვენ გლეხებს ნაკლებ ფასში დაუთმეთ მიწებიო! სასაცილო იქნებოდა, სამწუხარო რომ არ იყოს.

როცა ჩვენში მოძრაობა ძლიერი იყო, ბევრს გვწამდა ადგილ-მამულის კონფისკაცია მშრომელთა სასარგებლოთ. ამგვარი რწმენის დრომ მალე განვლო და ხელში დაგვრჩა მწარე სინამდვილე. წარმოიდგინეთ ახლა ჩვენი კრიტიკული მდგომარეობა: გლეხებს ვურჩევდით, ნუ ყიდულობთ ადგილ-მამულებს, უსასყიდლოთ დაგრჩებათო; გლეხებს-კი არაფერი არ დარჩათ და ახლა ჩვენ თვითონ გვერცხვინება, როგორღა ვურჩიოთ გლეხებს, იყიდეთო, როცა გუშინ ვურჩევდით: ნუ იყიდით(,) ისე დაგრჩებათო.

არ ასრულდა ის, რისი იმედიცა გვქონდა. დღეს-კი ყოველ სოფელში, ყოველ დიდ შარაზე უნდა ვყვიროდეთ: გლეხებო, ნუ გაუშვებთ ჩვენს მიწას ხელიდან, წელებზე ფეხი დაიდგით და იყიდეთო.

საქართველოს ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში გადასახლება ხალხს საშინლათ ეძნელება; ადვილი გასაგებიც არის: მეტათ საძნელოა იმ კუთხის მიტოვება, საცა აღზრდილხარ, საცა სიყმაწვილე გაგიტარებია, საცა ტრიალებს შენი საუკეთესო მოგონება, საცა დამარხულია შენთვის საყვარელი, დაუვიწყარი არსებანი.

გაჭირვება ყოველ გრძნობასა სძლევს ხოლმე ხშირათ. ჩვენი ხალხი ნელა-ნელა ეჩვევა სხვაგან გადასახლებას. მეგრელები და გურულები მიიწევენ სოხუმის ოლქისაკენ, რაჭველები კავკასიისაკენ, ზემო იმერლები მიიწევენ სოხუმის ოლქისაკენ, რაჭველები კავკასიისაკენ, ზემო იმერლები კახეთისაკენ, ზაქათალისაკენ.

(დასასრული. დასაწყისი იხ. №7)

# მემკვიდრეობა

ეს მოვლენა მეტათ სასარგებლოა ჩვენთვის, ჩვენი მერმისათვის; მას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ რითი დავეხმარეთ ჩვენ მას? არაფრით. როდის ან სად ვწერდით ამგვარი გადასახლების საჭიროებაზე? არსად და არასოდეს. ჩვენ ამგვარი წვრილმანები არ გვიყვარს, ჩვენი ხელობა ოცნებაა, ფრაზები, ფრაზები და მხოლოდ ფრაზები!

ხალხისათვის ჩვენ არაფერი არ მიგვიცია გარდა ფრაზებისა.

საჭიროა, ფრიად საჭირო, რომ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები ჩვენ ხალხს უმარტავდენ გადასახლების საჭიროებას და იმის მნიშვნელობას; მაგრამ განმარტება არა კმარა. პერიოდულს პრესაში უნდა ირკვეოდეს(,) ჩვენი სამშობლოს რომელ კუთხეში რამდენი მიწაა თავისუფალი, როგორი ღირსების არის, რა უფრო მოდის, როგორი ჰავაა, როგორია წელიწადის სხვადასხვა დრო, როგორ ფასობს მიწა, როგორ მუშაობას საჭიროებს, ვინ არიან მეზობლები, რა ჯდება მისვლა-მოსვლა და სხვ.

როდესაც გერმანიის მთავრობამ პოლონელთა გაგერმანელებისათვის ბანკი დააარსა, რომელსაც პოლონელთა მიწები უნდა ეყიდა და ზედ გერმანელები დაესახლებია, პოლონელებმა თვითონ დაიარსეს ბანკი, რომელიც გერმანელთა ადგილებს ზედმეტ ფასში იტოვებდა და შემდეგ შეღავათიან პირობებით პოლონელსავე გლეხებს აძლევდა. გერმანიის მთავრობას მოლოდინი გაუცრუვდა და პირში ჩალა გამოვლებული დარჩა.

ხალხი, რომელსაც სიცოცხლის სურვილი აქვს, რომელსაც მარტო სიტყვით კი არა, საქმით უყვარს თავისი თავი და თავისი ისტორია, თავისი კულტურა, თავის აწმყოსათვის მომავალი, ყოველ გაჭირვებიდან ნახავს გამოსავალ გზას ისე, როგორც პრუსიის პოლონელებმა ნახეს.

ჩვენი საქმე კი მხოლოთ სიტყვაა და თუ გამოერია ჩვენში საქმის კაცი, არა თუ არ თანავუგრძნობთ, ვერიდებით, მედიდურათ ვუყურებთ.

თუ ქართველმა ინტელიგენტმა რამოდენიმე სტატია დაბეჭდა, თავი საზოგადო მოღვაწეთ მოაქვს და დარწმუნებულია, რომ სამშობლოს დიდი სამსახური გაუწია.

ჩვენ ყველა სიტყვას მივსდევთ, სიტყვას ვემსახურებით, სიტყვას ვსცემთ თაყვანს და საქმე არავის არ გვახსოვს, საქმიანობა არ შეგვიძლია.

აიღეთ ყველა ჩვენი კრებები; დაუსრულებელი ლაპარაკია. დროს არავითარი ფასი არა აქვს; ყოველი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ილაპარაკოს. ხოლო როცა ჯერი ნალაპარაკევის და გამორკვეულის განხორციელებაზე მიდგება, — კომისია!

რა არის ეს კომისია? ის. რომ საქმის კეთება ყველას გვეზარება და ვცდილობთ, თავიდან მოვიშოროთ და სხვას მოვახვიოთ თავზე. ამიტომაც ყოველი ჩვენი კრება, ყოველი ჩვენი საქმიანობა კომისიით თავდება.

(№12, 22.XI. 09.)

### IV.

როდესაც ადამიანი იხედება უკან, მას სრულებით არ აღონებს ის გარემოება, რომ მთელი ეს წარსული უიმისოთ მიმდინარეობდა, რომ საუკუნეებმა განვლეს უიმისოთ. ხოლო, როდესაც ის იხედება მომავლისაკენ და წარმოიდგენს, რომ ეს მომავალი უიმისოთ იწყებს მიმდინარეობას, ადამიანის გული სევდით ივსება. ჩვენ ადვილათ ვურიგდებით იმ გარემოებას, რომ მთელმა წარსულმა უჩვენოთ განვლო, ხოლო ვერ მოგვინელებია ის ჭეშმარიტება, რომ მომავალიც უჩვენოთ გაივლის. იყო ისტორია და ჩვენ არ ვიყავით, — საშინელი აქ არაფერია. იქნება ისტორია და ჩვენ კი აღარ ვიქნებით, — აი საშინელება. ადამიანი საგონებელში ჩავარდა; ის ვერას გზით ვერ შერიგებია, ვერ შეჩვევია იმ საშინელებას(.) გამოიგონა უკვდავი სული, სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ, არსებობა გაქრობის შემდეგ, აზროვნება უაზრობის შემდეგ და ამით დაიმშვიდა გული.

პირადი უკვდავება ბავშვური რწმენაა, რომელიც მოაზროვნე ადამიანს ვერ დააკმაყოფილებს. უკვდავი სული მხოლოთ ნაყოფია იმ ტრალიზმისა, რომელშიც პირადი უკვდავების მაძიებელი ადამიანი იმყოფება. პირადი უკვდავება არ არსებობს, ფიქციაა, ხოლო უკვდავება არსებობს თავის ერში; პიროვნება არ კვდება თავის ერში, ის თავის ხალხში განაგრძნობს სიცოცხლეს. შოთა რუსთაველი, თამარ მეფე და სხვა მრავალი ქართველები, რომლებიც მათ დროს ცხოვრობდენ, არ მომკვდარან, — ისინი ჩვენში, მთელს ქართველ ერში, განაგრძობენ სიცოცხლეს, როგორც სულიერს, ისე ხორციელს: ჩვენი სხეული მათი სხეულის განგრძობაა, ჩვენი შეგნება მათი შეგნების განგრძობაა.

ერი კაცობრიობას უერთდება მხოლოთ სულიერათ, შეგნებით, პიროვნება კი უერთდება ერს როგორც სულიერათ, ისე ხორციელათ, რადგანაც ყველა ჩვენგანი შთამომავლობაში ხორციელათ არსებობს და შთამომავლობის შემწეობით მთელ ერს ხორციელაც უერთდება. პიროვნება და ერს შუა მარტო იდეალური კავშირი კი არ არსებობს, არამედ მატერიალურიც; იმიტომ ეს კავშირი ფრიათ მტკიცე და რეალურია. ხოლო ერსა და კაცობრიობის შორის არსებობს მხოლოთ იდეალური კავშირი. აქედან აშკარაა, რომ პიროვნებისათვის უფრო საკუთარია, უფრო ღვიძლია ერი, ვიდრე კაცობრიობა და კაცობრიობა ვერ დაიკავებს იმ ადგილს დღევანდელი პიროვნებისათვის, რა ადგილიც ერს უკავია. სიყვარული კაცობრიობისადმი არის ლოღიკური დასკვნა და არა გრძნობა, სიყვარული ერისადმი ანუ მომავლის სიყვარული არის სტიქიური უნივერსალური გრძნობა.

სიყვარული მამულისადმი იმდენათვე ბუნებრივია, რამდენათაც ბუნებრივია სიყვარული თავისთავისადმი, თავისი მშობელის ან შობილისადმი. სიყვარულს თან დასდევს სხვა და სხვა მოვალეობა, რომელთა აღსრულებაშიც მხილდება ეს სიყვარული.

სიტყვით ყველას გვიყვარს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი, საქმეში კი ეს სიყვარული არა სჩანს. ეს საქმე კი შეიძლება არასოდეს არ იყო იმდენათ საჭირო, რამდენათაც დღეს. ნეტარება იმ ერის შვილებს, რომლის არსებობა უზრუნველყოფილია; ყოველ უბედურებაში ისინი მაინც ბედნიერები არიან, რადგანაც თავისი ერის უკვდავებაში უკვდავნი არიან.

ჩვენს არსებობას კი ბევრი საფრთხე უდევს წინ და ერთი უმთავრესი მათგანი ჩვენი ტერიტორიის გამოცლაა ჩვენი ხელიდან.

რა გზაა, რა ზომაა საჭირო, რომ ეს მოვლენა თავიდან ავიცილოთ?

ზნეობრივი ქადაგება და ზნეობრივი გავლენა აქ არავითარ ნაყოფს არ მოიტანს. თავად-აზნაურობამ, კიდეც რომ მოინდომოს, რითი უნდა აიძულოს თავისი წევრები, რომ ადგილ-მამული ქართველებსავე მიჰყიდონ და არა სხვა ერთა წარმომადგენლებს?

ჩვენა გვჯობიან ფულით, ჩვენ გვამარცხებენ ჯიბით; სხვის სქელ ჯიბეს კი ცალიერის სიტყვებითა და სურვილებით ჩვენ ვერ დავამარცხებთ, — ჩვენ შეგვიძლია, ის დავამარცხოთ ფულითვე. ფული ჩვენ არა გვაქვს, ღარიბები ვართ, — გაისმის ჩვენში ყველგან. ეს სიმართლეა, როცა მხედველობაში თვითეული ადამიანი გვყავს, ხოლო ყველას ერთათ ჩვენ ფული გვაქვს და საერთო ძალით, საერთო მეცადინეობით, საერთო ჯიბით ჩვენ შეგვიძლია ისეთი საქმე შევქმნათ, რომ ჩვენი ტერიტორიის იმ ნაწილიდან, რაც სხვასა რჩება, თუ სულ არა(,) ზოგი მაინც შევინარჩუნოთ. საჭიროა საქმის დაწყება, საჭიროა მოქმედება, საჭიროა მეთაური.

**ივ. გომართელი**
№14, 6. XII. 09.

# სოფლის ჭირი

[illegible] ბალეობის ამხანაგობების საწინააღმდეგო მოძრაობა დაიწყო, გაზეთების ფურცლებიდან ბევრი ძვირძლი და დამამცირებელი სიტყვები გადმოინთხა სოფლების მისამართით.

ერთ-ერთი სოფლის, წავკისის, მაგალითზე მოკლედ მოგითხრობთ საქართველოს მრავალი სოფლის გადაგვარების გზას. ეს გზა მთავრობის პოლიტიკის წყალობით ანტიეროვნული, იძულებითი გზა იყო. მიზანი ახლა ყველასთვის ცხადია, გლეხი გადაქცეულიყო ჯერ კოლმეურნედ, ხოლო შემდეგ მიწის მოძულედ. მთავრობას სოფლის საწინააღმდეგო ამ ლაშქრობაში მხარში ედგნენ ინდუსტრიალიზაციის ჯარისკაცები, ანუ დღევანდელი გაგებით ის ხალხი, რომელიც სოფელს უცქერის, როგორც კოლმეურნეობის ძროხას.

უწინ წავკისი თავისუფალი გლეხებით იყო დასახლებული. მას ჰქონდა სახნავი, სათიბი, საძოვარი, ტყე, ჰყავდა უამრავი საქონელი, ცხვარი და სხვა შინაური ცხოველები.

წავკისის კოლმეურნეობა შეიქმნა საკმაოდ მდიდარ ბაზაზე. კოლმეურნეობამ სულ 25 წელი იარსება. როცა კოლმეურნეობა გაუქმდა და მისი საკუთრება სახელმწიფოს გადაეცა, წავკისელმა კოლმეურნემ შვებით ამოისუნთქა, რადგან მოიცილა მსოფლიოში არნახული ექსპლუატაციის უღელი. წარმოიდგინეთ სოფლის ტრაგიზმი — თავისი ნებით უარს ამბობს თავის მამა-პაპის კუთვნილ მიწებზე და ხელში უდებს საკავშირო უწყებას.

შედეგად ის მივიღეთ, რომ სოფელი დაიძრა ქალაქისკენ. ტოვებდნენ ან ყიდდნენ ადგილ-მამულს და პროლეტართა რიგებს აძლიერებდნენ.

მთავრობისაგან გაწირულმა სოფლელებმა თვითონ უშველეს თავს. ხელი მიჰყვეს ყვავილებით ვაჭრობას. ყვავილი აღმოჩნდა სოფლის გადამრჩენი, მიუხედავად იმისა, რომ ხშირი იყო მეყვავილეთა დარბევები ბაზარში.

მოსახლეობის უმეტესობამ სოფელში მონახა სამუშაო. სოფელში გაჩნდა ერთეული სათბურები.

გაღატაკებულ უმრავლესობას სათბურის აშენება არ შეეძლო. მათ „საშველად“ ქალაქიდან მოვიდნენ ფულიანები. იოლად ნაშოვნი ფულის მიწაზე დაბანდება სარფიან საქმედ მიიჩნიეს. მოსახლეობა კი შევიწროებულ საკარმიდამო ნაკვეთზე აგებდა სათბურს და მოგებასაც ნახულობდა. ასე უმტკივნეულოდ გადადიოდა გლეხის ხელიდან მოაგარაკის ხელში სოფელი წავკისი. წყნეთის ისტორია მეორდება.

ადრე მიწები ჩალის ფასად იყიდებოდა და არა საარაკო ფასად, როგორც პროფესორი გულნარა გერსამია წერს გაზეთ „თბილისის“ 22 აგვისტოს ნომერში. საარაკო ფასი ახლა აქვს დევალვირებული ფულის პირობებში. პატივცემულ პროფესორს მინდა შევახსენო ერთი ოდესური შეგონება: თუ საქონელია, მყიდველიც არის და თუ მყიდველია, საქონელიც გამოჩნდება. როგორც მოგეხსენებათ, მიწა ყიდვა-გაყიდვის საგანი არ არის და ეს მექანიზმი სოფლელების მოგონილი არ არის.

პატივცემულმა პროფესორმა ისიც განაცხადა, სოფლის პატრიოტები რატომ ამ ფაქტზე არ იმაღლებენ ხმასო. პრესა-ტელევიზია თქვენს ხელშია, ჩვენ ვინ მიგვაკარებს ახლოს. როცა რედაქციების მოვლით დავიღალეთ, „საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირსლა“ მივადექით, რომელმაც დიდი სიამოვნებით დაგვითმო ადგილი „უწყებანში“.

ჩვენ გვეგონა, რომ პროფესორის ამ განცხადებას პროკურატურა გამოეხმაურებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს განცხადება სოფლელების დაშინებას ითვალისწინებდა მათი კანონსაწინააღმდეგო მოქმედებისათვის.

ჩემი აზრით, სოფლის დაშინებას ითვალისწინებდა გაზეთი „კომუნისტიც“, როცა აცხადებდა, რომ წავკისელებმა საქართველოს სახელოვანი შვილების ბინები დაარბიესო. რა ხასიათზე დადგებოდით, რომ გაეგოთ, ცხინვალში ოსებმა ქართველების ბინები დაარბიესო? კიდევ კარგი, რომ ყველამ იცის, გაზეთი „კომუნისტი“ რა დეზინფორმატორია, თორემ რომელი აქციის მსხვერპლი გავხდებოდით, ძნელი წარმოსადგენია. თუმცა, ამ დეზინფორმაციამ მაინც თავისი გააკეთა, კიდევ უფრო შეაძულა ქალაქელებს სოფლელები.

როგორც აღვნიშნეთ, მთავრობის ანტიეროვნული პოლიტიკის წყალობით წავკისელმა შეიცვალა პროფესია, პროფესორ გულნარა გერსამიას ტერმინოლოგიით, გადაიქცა „საკურორტო ზონის გლეხად“, რომელსაც, თურმე, მეურნე გლეხთან აღარაფერი აკავშირებს. ღმერთს წავკისელისათვის ყვავილი რომ არ გამოეგზავნა, დღეს წავკისში წავკისელი აღარ იქნებოდა. წავკისი დასახლებული იქნებოდა ქალაქგამოვლილი და ასფალტშეყვარებული მოქალაქეებით, რომლებსაც ასევე მიტოვებული ექნებოდათ თავისი მამა-პაპის ადგილ-მამული.

კოლმეურნეობის არსებობით სოფელს შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია მთავრობის მიერ მიღებული სოფლის საწინააღმდეგო დადგენილებისათვის (საერთო კრების ძალით). კოლმეურნეობის მოშლით მას ეს უფლება წაერთვა. მიწას ჩინოვნიკი დაეპატრონა. მიწის შეძენის სურვილი ათასმა უწყებამ და ორგანიზაციამ გამოთქვა. ფულმა ჩინოვნიკის ჯიბეში იწყო დენა. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დროიდან სოფლის განადგურების ახალი ეტაპი დაიწყო.

კოლმეურნე გლეხი გადაიქცა მეურნეობის მუშად. ამით გადაიდგა ნაბიჯი სოფლისა და ქალაქის დაახლოების გზაზე. მეორე ნაბიჯი დაახლოების გზაზე გახდა შეზაღე-ამხანაგობათა მოძრაობა. ასეთი მასობრივი დესპეციალიზაცია ახსნილია საბჭოთა ადამიანის მრავალმხრივი ჰარმონიული განვითარების სურვილით. ჩემი აზრით, ეს გამოწვეულია სახელმწიფოს უსუსურობით, შეუქმნას ხალხს ნაყოფიერი მუშაობის და მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირობები. რატომ უნდა ცდილობდეს საქვეყნოდ ცნობილი ადამიანი შეეცილოს სოფლელს თავის ისტორიულად კუთვნილ მიწაზე იმ მოტივით, რომ როგორმე შეიმსუბუქოს ეკონომიკური მდგომარეობა, ან დროის გარკვეულ მონაკვეთში მაინც ჰქონდეს მოუწამლავი ბოსტნეულით კვების საშუალება.

ჯერ კიდევ 1968 წელს რამდენიმე ათეულ ოჯახზე გამოიყო გლეხისაგან წართმეული და მთავრობის მიერ გაპარტახებული ბაღი. 1969 წელს საუკეთესო, მეურნეობისაგან სათიბად ქცეული, 251 ჰექტარი სახნავი მინისტრთა საბჭოს დადგენილებით პანსიონატების მშენებლობისათვის უნდა გადასცემოდა ქალაქის ათ უწყებასა თუ ორგანიზაციას. საბედნიეროდ ჯერ 12 ჰექტარია ათვისებული და თუ ჩვენი მთავრობა შემდგარია ეროვნულ რელსებზე, დარჩენილი ფართობი სოფელს უნდა დაუბრუნოს.

„მებაღეთა“ ბუმი ამ ორი წლის წინ დაიწყო. მინისტრთა საბჭოს კაბინეტებში მიღებული დადგენილებებით შეიარაღებული უწყებები და ორგანიზაციები ჰიანჭველებივით მოედნენ სახნავ-სათესებს და ტყეებს. მათ რომ მებაღეობა არ სურთ, ამის დადგენა ძნელი არ არის. გადათხრილია ნაყოფიერი ფენა, ქვალორღით გავსებულია ბაღები, აშენებულია ვილები, გარაჟები, ბეტონის მაღალი ღობეები. იხარჯება უამრავი თანხა და მასალა. მებაღეობებისათვის მზადაა უამრავი მძლავრი ტექნიკა. მძლავრი ტექნიკის მიმოსვლით ინგრევა გზები. მარტო წავკისში შვიდასზე მეტი მებაღე აპირებს დასახლებას. სამასს უკვე დაწყებული აქვს მშენებლობა. მშენებლობის ტემპი მატულობდა მაშინ, როცა საქართველოს ძალიან უჭირდა. მაგალითად, შარშანდელი 10 აპრილიდან, 24 ივნისიდან, 15 ივლისიდან და ა. შ.

მებაღეობის წყალობით წავკისი რეზერვაციაში მოექცა.

წავკისელები მიხვდნენ, რომ დიდი უბედურების წინაშე არიან დამდგარი. ამიტომ სოფლის ყრილობაზე დაისვა საკითხი სოფლის ყოფილი მიწების სოფლის გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

ამ მიზნით მიწების განმგებლობის ფორმად სოფელმა საბჭოთა პრაქტიკაში დღეს-დღეობით არსებული თვითმმართველობაზე დაფუძნებული ერთადერთი საკოლმეურნეო ფორმა აირჩია. წავკისის კოლმეურნეობა არის თვითმმართველობაზე, თვითდაფინანსებაზე და თვითანაზღაურებაზე დამყარებული ორგანიზაცია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს საკუთრების სხვადასხვა ფორმის დამკვიდრებას სოციალური კონფლიქტების გართულებისა და გამწვავების თავიდან აცილებით. ეს საკითხები სცილდება ჩემი წერილის მიზანს, ამიტომ უფრო საფუძვლიანი ახსნისაგან თავს შევიკავებ. ერთს კი დავსძენ, რომ ჩვენს სტრუქტურულად მოშლილ საზოგადოებაში ძალზე ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ საკუთრების გადანაწილებას, რათა იგი არ გახდეს მიზეზი დიდი სოციალური კონფლიქტებისა.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ როცა სოფელმა დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად კვლავ შექმნა კოლმეურნეობა და თავისი ყოფილი კუთვნილი მიწების ნაწილი დაიბრუნა, ფაქტიურად ეკონომიური ბლოკადის ქვეშ აღმოჩნდა. იმ დროს. როცა „მებაღეებს“ ხელგაშლილად ეხმარებიან ყველა დონეზე, ასევე ყველა დონეზე ვაწყდებით წინააღმდეგობას. ფიქრობენ, რომ ამ პირობებში სოფელი კვლავ თვითონვე იტყვის უარს თავის მიწებზე.

შეიძლება მიზეზიც მოგვიდონ, მიწას სათანადოდ ვერ ამუშავებთო. გაძარცვული, ყოველგვარ ტექნიკას მოკლებული სოფელი ამ მიწებს შიშველი ხელით ვერ დაამუშავებს.

ნუთუ მხოლოდ მებაღეთა მოსვლამ უნდა გამოიწვიოს სოფლის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება?

არ ვიცი, სოფელში რა კულტურის შემომტანია რეგალიებით და თანამდებობებით დამშვენებული ადამიანი, რომელიც გიჩეხავს ტყეს, ანადგურებს სახნავ-სათესს, იშენებს სასახლეს, იკეთებს სამმეტრიან ღობეს, იტაცებს მიწას, მოკლედ რომ ვთქვათ, აშლევნებს ყოველგვარ უზნეობას. შეიძლება უზნეობამ კულტურა შემოიტანოს?

როგორ შეგვიძლია დავუჯეროთ ან ვენდოთ რეგალიებით დატვირთულ „ავტორიტეტებს“, რომლებიც მოჭრილ ხეზე ამბობენ, არ არის მოჭრილიო. შეიძლება ბეჭედდასმული ქაღალდით ამტკიცოს თეთრი შავიაო, მაგრამ სოფლის მიერ დარგული და გაშენებული ტყის არ გაჩეხვაში როგორ დამარწმუნებს?

მთავრობას ჯერ არ შეუქმნია ისეთი კომისია, რომელიც გაითვალისწინებს სოფლის ინტერესებს. ყოველი კომისიის ძირითადი მიზანი არის სოფლის ყურადღების მოდუნება და მებაღეებისათვის მშენებლობაში ხელის შეწყობა.

მოგიწოდებთ, ეროვნულ მოძრაობას ნუ გადააქცევთ სოციალურ მოძრაობად.

**ზურაბ გვარაძე**

# ტყდება კი ციხე შიგნიდან?

**ტყდება**, როგორც ამბობს ხალხი, მაგრამ ტყდება მხოლოდ მაშინ, თუ ციხის მცველ გარნიზონში აღმოჩნდება მოღალატე, ვისაც არ ამოძრავებს სიმაგრის დაცვის სურვილი. ეს, შესაძლებელია, ატავისტური აზრი, აგვეკვიატა მას შემდეგ, რაც წავიკითხეთ ამა წლის 9 აპრილს(!) გაზეთ „ზარია ვოსტოკაში" 8 აპრილის (!) „მოსკოვსკიე ნოვოსტიდან" გადმობეჭდილი დავით იმედაშვილის, აკაკი მიქაძის და გენადი ქავთარაძის წერილი „გაზაფხული თბილისში". ამ უცნობ პიროვნებათა აზრები არ იქნებოდა მაინცდამაინც საინტერესო, წერილში რომ არ იყოს მოყვანილი თავისი ფილოსოფიური განსწავლულობითა და ინტელექტუალობით გარკვეულ წრეებში სახელგანთქმული ბ-ნი მერაბ მამარდაშვილის მონოლოგი, მონოლოგი კაცისა, რომელიც საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის წევრია და იმავდროულად თბილისის პოლიტიკური კლუბის ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერი (მკითხველებს შევახსენებთ, რომ ამ კლუბის წევრები, სხვათა შორის, არიან ბ-ნი ალ. ჯავახიშვილი, ბ-ნი გ. ბერიშვილი, ბ-ნი გ. ქორქოლიანი, ბ-ნი ი. მაჭავარიანი, ბ-ნი გ. ნოდია). რა ამცნო ბ-ნმა მერაბმა „მოსკოვსკიე ნოვოსტისა" და „ზარია ვოსტოკას" ფურცლებიდან განათლებულ და დემოკრატიულ მსოფლიოს?

„ჩვენი ტოტალიტარული კოლექტივიზმი აღმოჩნდა ჩვენსავე წინააღმდეგ მიმართული ყველაზე დაუნდობელი იარაღი... საჭიროა, რომ ჩვენ ჩამოვიხსნათ ცრუ ერთობის ნიღაბი და აღვადგინოთ ჭეშმარიტი რეალობა. დიახ, სახელმწიფო მონობის ხუნდები დაწყვეტილია, მაგრამ ჩვენი საზოგადოებრივი ცნობიერების ნანგრევები ჯერ კიდევ ჩვენდა უნებლიედ აღმართულია ტოტალიტარულ მსოფლიო განცდაზე. მოსკოვშიც და თბილისშიც ჩვენ ნორმალურად ვიქცევით, როგორც არანორმალური ველურები. როგორ გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ ეშმაკის მსხვერპლნი ვართ და არა ცოცხალი იესოები და ღვთისმშობლები. დავძლიეთ რა გონების ძილი, ჩვენ ერთმანეთის შეგვეშინდა: ქართველს — ოსისა, აფხაზეთელს (абхазец) — ქართველისა, ხოლო რუსს ყველა დანარჩენისა ერთად. ეროვნებათაშორისი შუღლი, რომელიც უფრო და უფრო მძაფრდება, უაზრო შემთხვევითობების ჯაჭვი კი არა, არამედ ჩვენს მიერ დაგროვილი ულმობლობის შედეგია".

ე. ი. პატივცემული მოსკოველი ფილოსოფოსის აზრით სახელმწიფოს სათავეში მოვიდა კეთილი ძალა, რომელმაც სსრკ „მოქალაქე" ანუ ქვეშევრდომი გაათავისუფლა სახელმწიფოს ტყვეობის ბორკილებისაგან, ხოლო ქართველნი, ეშმაკის კერძნი, ტოტალიტარული, სტალინური შეგნებით განმსჭვალულნი, ულმობელნი, კი არ ეხმარებიან მას, არამედ, ოსებით შეშინებულნი და „აფხაზეთელების" შემაშინებელნი, „...კვლავ **იქცევიან როგორც კომბლები"**... ამ მკაცრი დახასიათებისას ბ-ნი მერაბი უცებ ინტიმურ კილოს გაურევს: „მე კვლავ, ისევე როგორც ოდესღაც, მართმევენ მოქმედების თავისუფლებას... **ჩვენ აღმოვჩნდით ახალი ტოტალიტარული დესპოტიზმის ხათამაზო. კვლავ გვაიძულებენ ვიფიქროთ ისე, როგორც არ ვფიქრობთ"** (ხაზგასმა ჩვენია).

მაშ ასე, ქართული ეროვნული მოძრაობით იმდენადაა შეზღუდული ფილოსოფოსი, რომ ველარც კი მოუხერხებია იფიქროს ისე, როგორც ფიქრობს (მიაქციეთ ყურადღება — ბრეჟნევმა, ანდროპოვმა, ჩერნენკომ ვერაფერი მოუხერხეს სახაროვს, ბუკოვსკის, შჩერანსკის, კოვალიოვს, ხოლო წერეთელმა, ჭანტურიამ და გამსახურდიამ დაიბრიყვეს, დააბეჩავეს მამარდაშვილი და ძმანი მისნი), განგაშს სტეხს, რუსული დემოკრატიის **საგანგებო** რუპორის მეშვეობით განათლებულ და დემოკრატიულ მსოფლიოს უხმობს საქართველოს გადასარჩენად ბნელი, ტოტალიტარული, ნეობოლშევიკური ტერორისაგან (აქ ბ-ნი მერაბი ამჟღავნებს სულიერ ნათესაობას ქ-ნ ნაირა გელაშვილთან და „თურქი მესხების" ჩამოსახლების სხვა მსურველებთან).

ბ-ნი მერაბის შიში კი თვით ოსებით შეშინებულ ქართველობაში სუფევს. სწორედ აქაა ძაღლის თავი ჩამარხული, ოსებით შეშინებულ ქართველობაში!

იმთავითვე უნდა ითქვას, რომ ბატონი მერაბი ერთ რამეში კი არის მართალი. **საქართველოში სუფევს შიში!** დიახ, შიში, მაგრამ არა ოსებისა, **არამედ სწორედაც განათლებული და დემოკრატიულად განწყობილი რუსებისა!** არაა ეს ლიტონი განცხადება! გავიხსენოთ, რა უნდათ „ადამონ ნიხასისა" და „აიდგილარას" შუბლნათელ წარმომადგენლებს — რა და ე. წ. ოსეთის, ანუ სამაჩაბლოს, საამილახვროს, საერისთაოს (შიდა ქართლის მთიანი ნაწილის) და აფხაზეთის გამოყოფა საქართველოსაგან ანუ ქართველთათვის მათი ისტორიული საცხოვრისის წართმევა; ქართველთათვის სამშობლოს წართმევა, საბოლოო ჯამში კი სამკვიდრებლის წართმევა თვით აფხაზეთელებისა და ოსებისთვის და მათი გადაქცევა დიდი და დემოკრატიული სახელმწიფოს, ანუ განახლებული ფედერაციის „სუვერენულ" რუსულენოვან და, პერსპექტივაში, რუსულ ბანტუსტანებად. მარტო არიან ისინი? უნდა ითქვას, რომ არა! მათი სულიერი მამა კი აწ განსვენებული, ბ-ნი ანდრია სახაროვი გახლდათ! თუ არ დაიზარებთ, მიბრძანდებით ეროვნულ (ყოფილ კ. მარქსის სახელობის საჯარო) ბიბლიოთეკაში, ნახავთ „მოლოდიოჟ გრუზიის" წლევანდელი 19 იანვრის ნომერს და გადაშლით მას მე-8-9 გვერდზე, აღმოაჩენთ ლიტვის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცკ-ს გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდიდან" (1989 წ. 12 დეკემბერი) გადმობეჭდილ ა. სახაროვის მიერ შედგენილ „ევროპისა და აზიის საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციის პროექტს". ამ პროექტში სწერია, რომ „არავითარ სხვა ეროვნულ-ტერიტორიულ ერთეულებს, გარდა რესპუბლიკებისა, კავშირის კონსტიტუცია არ სცნობს" (გვ. 8 III სვეტი მარცხნიდან, ზევით — VI-VIII სტრიქონები). შეიძლება ვინმე გულუბრყვილომ იფიქროს, რომ სახაროვი აფხაზებისა და ოსების ავტონომიების გაუქმების მომხრე იყო. მაგრამ მასნაწილზე მუშაობისას გასული წლის სექტემბრის დასაწყისში ქ-ნი გალინა სტაროვოიტოვა სწორედ ბ-ნ ანდრია სახაროვის გვერდით მჯდარა, ანუ პირიქით, ბ-ნ ანდრია სახაროვს არა ავტონომიების გაუქმება, არამედ აფხაზეთისა და შიდა ქართლის მთიანი ნაწილის საქართველოსაგან გამოყოფა ჰქონია აზრად. ეს აზრი უფრო განგვიმტკიცდება, როდესაც გავიხსენებთ, რომ საქართველოს მან იმპერია უწოდა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცნობილი ეკონომისტი გავრილ პოპოვი „მოსკოვსკიე ნოვოსტის" ფურცლებზევე ქადაგებდა და ქადაგებს როგორც საქართველოში ბერძნული ავტონომიის დაარსების, ისე „ჩრდილოეთ" და „სამხრეთ" „ოსეთების" შეერთების აუცილებლობის იდეას. სხვათა შორის, გასული წლის ივლისში (მიაქციეთ ყურადღება თარიღს), სსრკ „უზენაესი" საბჭოს პირველი სესიის მუშაობის დროს შეიქმნა ავტონომიური წარმონაქმნებიდან არჩეული სსრკ დეპუტატთა საპარლამენტო ჯგუფი. გაზეთ „სოიუზ"-ის ა. წ. 14 აპრილის ნომერში (გვ. 6. კვლავ მიაქციეთ ყურადღება თარიღს), სტატიაში — „სტატუსი შებრკოლებისა", დეპუტატები არძინბა, ლარიონოვი და მინულინი ერთხმად, გუნდად ამტკიცებენ, რომ ავტონომიების ხსნა მდგომარეობს მათ გათანაბრებაში მოკავშირე რესპუბლიკებთან. სულ ახლახან, 16 აპრილს, გაზეთ „პრავდა"-ში გამოქვეყნდა ინტერვიუ ეროვნებათა საბჭოს ეროვნული პოლიტიკისა და ერთაშორის ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარესთან გ. ტარაზევიჩთან, რომელმაც გვამცნო და გვახარა ის ცვლილებები, რომლებიც პარლამენტმა მიიღო გარკვეული კანონების მიმართ. აი ნაწყვეტი მისი ერთ-ერთი პასუხიდან: „პრინციპული მნიშვნელობა აქვს კანონპროექტში გაჩენილ სტატიებს, სადაც საუბარია იმაზე, რომ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების შეუთანხმებლობის შემთხვევაში, სხვათა შორაც კი ილუზიებს უფანტავს სსრკ სახალხო დეპუტატი, სსრკ სახალხო დეპუტატთა რეგიონთაშორისი ჯგუფის წევრი ქ-ნი გალინა სტაროვოიტოვა, რომელიც „საიუდისის" კორესპონდენტ ოლეგ კურდიუკოვისთვის მიცემულ ინტერვიუში („სოგლასი", № 11, 1990. გვ. 2) სიტყვასიტყვით წერს შემდეგს: „ყოველ ეროვნულ-ტერიტორიულ წარმონაქმნს, ჩვენთან კი მათი რაოდენობა 53-ს აღწევს, უნდა მიეცეს ერთი და იგივე სტატუსი განურჩევლად ტერიტორიისა, მოსახლეობის რაოდენობისა, გარე საზღვრების არსებობა-არარსებობისა... სწორედ ამ გზაზე სიარული მესახება მე **ფედერაციის შენარჩუნების** აუცილებელ საშუალებად" (მარცხნიდან მეორე სვეტი, ქვევიდან 29-30, 35-41 სტრიქონები. ხაზგასმა ჩვენია). იქვე მარჯვნიდან მესამე სვეტში ქვევიდან 29-35 სტრიქონებში ვკითხულობთ, რომ დეპუტატთა რეგიონთაშორისი ჯგუფის პლატფორმის სსრკ ეროვნულ-ტერიტორიული მოწყობის ის, უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ საკითხს წყვეტს საკავშირო ორგანო, ასევე შესაძლოა, რომ ავტონომიური რესპუბლიკები, სხვა ავტონომიური წარმონაქმნები მიიღებენ ქვეყნის ნებისმიერ მოკავშირე-ავტონომიურ რესპუბლიკასთან თუ ოლქთან სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარების უფლებას".

ასე იქცა „რუსი დემოკრატების" ნამოღვაწარი „საკავშირო" (იმპერიულ) კანონად. ჩვენი აზრით, დღეს ეჭვს არ უნდა იწვევდეს, საქართველოში ასე პოპულარული სიტყვით „ეთნოკრიზისი", ვინ ხოცავდა შიდა ქართლსა და აფხაზეთში ქართველებს. ქართული მიწების მიტაცების („დაკანონების") მიზნით როგორ იქცეოდა ამ ვითარებაში ადგილობრივი ხელისუფლება? ადგილობრივი ხელისუფლება ისე იქცეოდა, რომ იქაურ ქართველობას თავი უპატრონოდ ეგრძნოთ და, როგორც ჩვენში იტყვიან, გული გასტეხოდათ. გაუტყდათ კიდეც გული. აბა, წაიკითხეთ ცხინვალის ქართველობის ბოლო მოთხოვნები გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში"! ისინი აყრას აპირებენ იმ შემთხვევაში, თუ არ იქნებიან დაცულნი სისხლის სამართლის დამნაშავეთაგან. ეს კი, რა თქმა უნდა, პროცენტულად შეამცირებს ქართველებს შიდა ქართლში და „მოსახლეობის რაოდენობის პრინციპი" ჩვენს წინააღმდეგ ამოქმედდება, ანუ უფრო გაადვილდება აფხაზეთისა და შიდა ქართლის ჩამოშორება საქართველოსაგან.

სწორედ ეს გახლავთ ჯოჯოხეთური ალიანსი! დემოკრატიის კავშირი უვიცობასთან, სიბნელესთან, უსამართლობასთან, რა თქმა უნდა, ყველასთვის და საქართველოსა თუ ქართველთათვისაც დამღუპველია. ახლა თვით მკითხველმა განსაჯოს, ესოდენ უსამართლო კანონების (ვგულისხმობთ კანონებს მიწაზე, საკუთრებაზე, რესპუბლიკების გამოყოფაზე, საგანგებო მდგომარეობაზე და ა. შ.) მიმღები სსრკ „უზენაესი" საბჭო არის კი სიკეთით აღსავსე ძალა და კას მიმართავს „თავდაცვის მიზნით" ბ-ნი მერაბ მამარდაშვილი. ვფიქრობთ, რომ ბ-ნი მოსკოველი ფილოსოფოსის ჩანაფიქრი ნათელია — მას სურს შეცდომაში შეიყვანოს მსოფლიო აზრი, შეაცდინოს თავი მსოფლიოს განათლებულ და დემოკრატიულ საზოგადოებას და მიუსიოს იგი იმ ეროვნულ მოძრაობას, რომლის უმთავრესი მოთხოვნებია საქართველოს სრული დამოუკიდებლობა და არა „განახლებული ფედერაციის" მიერ ბოძებული ფსევდო სუვერენიტეტი; დამოუკიდებლობა, რაღა თქმა უნდა, აფხაზეთითა და შიდა ქართლის მთიანი ნაწილითურთ და თანამედროვე დემოკრატია ადამიანის, ყველა ადამიანის, მათ შორის, თვით ბ-ნ მერაბ მამარდაშვილის უკლებლივ ყველა უფლების განუხრელი დაცვით. ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, ბ-ნი მოსკოველი ფილოსოფოსის წერილი, სამწუხაროდ, წარმოადგენს ცილისწამებას ეროვნულ მოძრაობაზე და პოლიტიკური ბზობის ერთ-ერთი კლასიკური ნიმუშია...

ორმაგად სამწუხაროა ბატონ ნოდარ ნათაძის მიერ გამოქვეყნებული წერილი გაზეთ „საქართველო"-ში (№7. 9. IV. 1990!) — „რა მოხდა, რა ხდება, რა მოხდება?" რომელშიც ავტორმა წამოაყენა პარალელური პარლამენტის იდეა. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ვერავითარი პარლამენტი, უზენაეს საბჭოს დავარქმევთ მას თუ რაიმე სხვა სახელს, ოკუპაციის და ფაქტობრივი ანექსიის ვითარებაში სრულფასოვანი, კანონიერი ორგანო ვერ იქნება. ალტერნატიული, ოპოზიციური თუ პარალელური „პარლამენტი" კი თანაბრად მავნე ფიქციაა, რომელიც საშუალებას აძლევს მოსკოვს მოსალოდნელი ორხელისუფლებიანობის შემთხვევაში ქაოსით შეაშინოს დასავლეთი და მშვიდობის მტრედის ნიღაბს ამოფარებულმა მსოფლიო პოლიტიკოსების აპლოდისმენტების ქვეშ ბაქოში გამოცდილი მეთოდით დაარბიოს ეროვნული მოძრაობა.

არც ფორუმი და არც მომავალი კონგრესი თუ სხვა სახელით წარმოდგენილი საკრებულო არ უნდა იყოს არც მთავრობა, არც ხელისუფლება და, რა თქმა უნდა, არც ალტერნატიული, ოპოზიციური თუ პარალელური საკანონმდებლო ორგანო, ანუ პარლამენტი. ის უნდა იყოს ერის ნდობის მანდატით აღჭურვილი ოპოზიციური გაერთიანება, რომელიც კონტროლს გაუწევს დე ფაქტოდ არსებული ხელისუფლების მოქმედებას, რათა არ დაუშვას ერის დამღუპველი მოქმედებები; გამოიჩინოს ინიციატივა, უფლებამოსილი იყოს, აწარმოოს მოლაპარაკება მოსკოვთან საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე და შესაბამისად, პირველ რიგში, საოკუპაციო ჯარის გაყვანაზე. ამ ორგანოში არ უნდა იყოს არჩეული საკავშირო პარტიისა თუ პოლიტიკური ორგანიზაციის არც ერთი წარმომადგენელი. არჩეული უნდა იყოს მხოლოდ ეროვნული მოძრაობის იდეების გამზიარებელი პიროვნება, განურჩევლად პარტიულობისა და ეროვნებისა, ან უპარტიო, რომელიც მოქმედებს ეროვნული და მოქალაქეობრივი დაუმორჩილებლობის სულისკვეთებით. ამდენად, ბ-ნი ნოდარის ბრალდება, რომ ჩვენი მოქმედება ხელს აძლევს საქართველოს მტრებს, ქვიშაზეა აშენებული.

საქართველოს სახალხო ფრონტის ორმა ხელმძღვანელმა სხვადასხვა მხრიდან გააკრიტიკა წიგნიერ ქართველთა ელიტარული წრეებისათვის ჯერჯერობით მიუღებელი ეროვნული მოძრაობა. ერთ-ერთმა კი პასკვილი და პოლიტიკური ბზობა შეთხზა. იმედია, რომ მ. მამარდაშვილისაგან განსხვავებით ბ-ნი ნოდარ ნათაძე, საქართველოს წარსულსა და დღევანდელ ვითარებაში ღრმად ჩახედული პიროვნება, იგრძნობს, რომ „დემოკრატიზაციის" უდავოდ განუმეორებელ ეპოქაში „ქუჩის მოძრაობა" საქართველოში ქართველთა დამცველი ერთ-ერთი რეალური ძალაა, ძალა, რომელიც ხელს უწყობს ისტორიული სამართლიანობის აღდგენას.

**გიორგი მარჯანიშვილი,**
**გიორგი ხოშტარია.**

# აკრძალული ზონის მიღმა

(დასასრული)

ოგიური კონტინგენტის ინდივიდუალური და სოციალური სტატუსის აღდგენის, მათი შრომითი და ყოფითი მოწყობისა და საწარმოო ურთიერთობებში დიფერენცირებული ინტეგრირების პროცესი ათეული წლების მანძილზე თვითდინებაზე იყო მიშვებული, ამით ერთდროულად იმაზეც მივუთითებთ, რომ რესპუბლიკის ეკონომიკისათვის, საზოგადოებისათვის მორალურის გარდა მიყენებულია უდიდესი მატერიალური ზარალიც, რომლის მასშტაბების წარმოდგენას, ალბათ, გამოთვლითი ტექნიკა თუ შეძლებს.

ეს დანაშაულია! მეტიც: იმის ნაცვლად, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანელობას საჯაროდ განეხილა და მიეღო ჩვენს მიერ 70-იანი წლების დამლევს შემუშავებული რეაბილიტაციური პროგრამა, ხელი შეეწყო ამ მიმართულებით დაწყებული მუშაობის გაშლისა და სრულყოფისათვის, დაინტერესებულიყო ქსელში რეალურად არსებული უმძიმესი მდგომარეობით, რაზეც მეტყველებდა ჩვენს ხელთ არსებული სტატისტიკური მასალების ანალიზი, მოსალოდნელი პროგნოზი და მისი გამოსწორების რეკომენდაციები, ყურად ეღო ჩვენს მიერ პრესაში არაერთხელ გამოთქმული შეშფოთება ქსელში არსებული და მოსალოდნელი ვითარების შესახებ, თვით საკითხის დაყენებაც კი დანაშაულად ჩამეთვალა. რისი გაგება და საჯაროდ განხილვა არ სურდათ მათ? ჩვენი პროგნოზით რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა და უკიდურესი ჩამორჩენა ოთხი მთავარი მიზეზით აიხსნება.

1. ფსიქიატრიის ს/კ ინსტიტუტში მყარად არის ფესვგადგმული მამაშვილებისა და ოჯახურ-ნათესაური კოოპერაციის ფართო ქსელი. ამ კლანის ფრთებქვეშ იმალება და ინიღბება ყოველგვარი სახის ნეგატიური მოვლენა და პირიქით, არ უწერია აღსრულება არც ერთ წამოწყებას, რაც მათ ინტერესებს ეწინააღმდეგება;

2. ინსტიტუტს არ გააჩნია ფსიქიატრიული კონტიგენტის სოციალურ-შრომითს პროცესებში ინტეგრირებისა და მათი სარეაბილიტაციო მკურნალობის მიმართულებით მეთოდოლოგიურად დასაბუთებული და პრაქტიკულად გამოყენებითი მნიშვნელობის გამოკვლევები, ეს უნარი ინსტიტუტს არ შესწევს.

3. უმძიმესი მატერიალურ-ტექნიკური პირობები.

4. ფსიქიატრიაში კვალიფიციური კადრების ქრონიკული დეფიციტია. საერთოდ საკადრო პოლიტიკაში არსებული დამახინჯებანი რომ წარმოვიდგინოთ, საკმარისია ითქვას, რომ ფსიქიატრიაში ხვდებოდნენ და ხვდებიან ამჟამადაც სხვადასხვა დარგიდან განთესილი, შემთხვევითი კადრები, ექიმები, მთავარი ექიმებიც კი, რომელთაც ელემენტარული წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ და არა აქვთ როგორც ზოგადი, ისე კერძო ფსიქოპათოლოგიის ძირითად ცნებებზე.

რა თქმა უნდა ფსიქიატრიულ მომსახურებაში არსებული ყოველგვარი დარღვევის სათავე, უპირველეს ყოვლისა, ფსიქიატრიის ს/კ ინსტიტუტი და მისი ხელმძღვანელობაა, მით უფრო, რომ ქსელს ამ ინსტიტუტის თანამშრომლები, მთავარი სპეციალისტები განაგებენ.

თუ არ გამოვიტანთ სააშკარაოზე ფსიქიატრიულ ქსელში შექმნილ რეალურ ვითარებას, თუ არ დაირღვა ათეული წლების მანძილზე ფსიქიატრიაში გაბატონებული აკრძალული ზონის სისტემა, მისი ორგანიზაციული ინფრასტრუქტურა და ფაქტები არ გახდა მსჯელობის საგანი, არა მგონია, რომ ასეთი ვაიმეცნიერული სკოლით, არსებული საკადრო პოლიტიკით რესპუბლიკამ შესძლოს უახლოეს მომავალში დამოუკიდებლად დასძლიოს ეს უმძიმესი მემკვიდრეობა.

ყოველივე ზემოთქმული მაძლევს რეალურ საფუძველს, გავაკეთო შემდეგი დასკვნა: ფსიქიატრიის ს/კ ინსტიტუტის მმართველმა ბირთვმა ა. ზურაბაშვილის და ბ. ნანეიშვილის ხელმძღვანელობით, დიდი ხანია დაკარგა მეცნიერული უკუგება და რესპუბლიკის ფსიქონევროლოგიური ქსელის ორგანიზაციულ-მეთოდური ხელმძღვანელობის უნარი. ინსტიტუტი ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ სოციალურ ფუნქციას, პირიქით, ყოველგვარი დარღვევა და დანაშაული სწორედ აქედან იღებს სათავეს. დიდია საზოგადოებისათვის მიყენებული მორალური და ეკონომიკური ზარალი, იურიდიული თვალსაზრისით პასუხისმგებლობაც მათ ეკისრებათ.

სალი აზროვნების პოზიციებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ათასობით ფსიქონევროლოგიური კონტიგენტის და მათი ტრავმირებული ოჯახების ბედი დამოკიდებული იყოს პროფესიული პროსტრაციის მდგომარეობაში მყოფ დაწესებულებაზე, რომელშიც იგი აღმოჩნდა მისი მესვეურების დანაშაულებრივი მეთოდების გამო. რაც უფრო მალე მოხდება ფსიქიატრიაში ახალი ალტერნატიული კონცეფციის ჩამოყალიბება და შესაბამისად სამსახურის რადიკალური რეორგანიზაცია, მით უფრო უკეთესია საქმისათვის.

**ზურაბ ჩიქოვანი,**
**მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.**

# მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების პოლიტიკური სისტემები

## 1. მრავალპარტიული სისტემა

მე-17 საუკუნის ინგლისელი ფილოსოფოსი და კლასიკური ლიბერალიზმის იდეურ-პოლიტიკური დოქტრინის ავტორი ჯონ ლოკი თავის ნაშრომში — „ორი ტრაქტატი მმართველობის შესახებ“ — აღნიშნავს: „საზოგადოებად ადამიანთა გაერთიანების ძირითადი მიზანია მათი ბუნებრივი სწრაფვა მშვიდობიანად და უსაფრთხოდ ისარგებლონ თავიანთი საკუთრებით, ხოლო ამ მიზნის მიღწევის ძირითადი იარაღი მიღებული კანონებია“. ამდენად, კანონებზე და ამ კანონების განმსაზღვრელ და განმახორციელებელ სახელმწიფო ინსტიტუტებზე ბევრადაა დამოკიდებული როგორც თითოეული ინდივიდის, ისე მთელი საზოგადოების კეთილდღეობა. საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ასეთი ინსტიტუტების როლს სხვადასხვა დონის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები ასრულებენ, რომელთა ფორმირება და ფუნქციონირება, თავის მხრივ, ბევრადაა დამოკიდებული არსებულ პოლიტიკურ სისტემებზე. დემოკრატიული ქვეყნების პოლიტიკურ სისტემებში მთავარი ადგილი პოლიტიკურ პარტიებს უკავიათ, რომლებიც ან თავად დგანან სახელმწიფოს სათავეში, ანდა ლოიალური ოპოზიციის როლს ასრულებენ და ნებისმიერ დროს მზად არიან ხელში აიღონ ქვეყნის მართვის სადავეები.

მჭიდრო კავშირი პოლიტიკურ პარტიებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ჯერ კიდევ თანამედროვე დემოკრატიული ტიპის სახელმწიფოების ჩამოყალიბების პერიოდიდან იღებს სათავეს. პარტიების აქტიური მონაწილეობით ხდებოდა წარმომადგენლობითი ხელისუფლების ორგანოების ფორმირება, არჩევნების მომზადება და ჩატარება. დროთა განმავლობაში პოლიტიკური პარტიები აქტიურად ჩაერთვნენ სახელმწიფო ორგანოების არა მარტო ფორმირების, არამედ ფუნქციონირების პროცესშიც.

დასავლეთელი პოლიტოლოგების აზრით, პარტიების მნიშვნელობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში განუხრელად იზრდება. საერთაშორისო სამართლის ცნობილი ფრანგი სპეციალისტი დიუვერჟე აღნიშნავს, რომ „მას, ვინც იცნობს კონსტიტუციურ სამართალს და უარყოფს პოლიტიკური პარტიების როლს, არასწორი წარმოდგენა აქვს თანამედროვე პოლიტიკური რეჟიმების შესახებ“. უფრო კატეგორიულია დასავლეთგერმანელი პროფესორი ტრაუტმანი, რომელიც ამტკიცებს, რომ „გფრ-ის კონსტიტუციური წყობა და პოლიტიკა ფაქტობრივად და იურიდიულად პარტიების საქმიანობით განისაზღვრება“.

პოლიტიკური პარტიები ასრულებენ მთელ რიგ მნიშვნელოვან ფუნქციებს, რომლებიც [illegible] სახელმწიფოს პოლიტიკურ სისტემაში. ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს პოლიტიკური იდეოლოგიის გავრცელება მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში. პარტიების იდეოლოგიური საქმიანობა განისაზღვრება ორი ძირითადი მიმართულებით. ერთის მხრივ, ისინი აქტიურად მონაწილეობენ ახალი პოლიტიკური კონცეფციების და დოქტრინების შემუშავებაში და მეორეს მხრივ, მათი გავრცელების მეტად ეფექტიან საშუალებას წარმოადგენენ. ამასთან მნიშვნელოვანია როგორც ამ იდეურ-პოლიტიკური პროდუქციის შინაარსი, ასევე ის მეთოდები, რომელთა საშუალებითაც ხდება მათი პროპაგანდა — მოსახლეობასთან შეხვედრები, მიტინგები და მანიფესტაციები, პარტიული პრესის გამოყენება, პარტიის ლიდერების გამოსვლები ტელევიზიითა და რადიოთი და სხვა. პარტიების მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მხარეა, აგრეთვე, მათი მონაწილეობა სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლის ფორმირებაში. ხელისუფლებისა და მართვის არჩევითი ორგანოები, როგორც ქვეყნის ცენტრში, ასევე ადგილებზე პოლიტიკური პარტიების უშუალო მონაწილეობით ყალიბდება. სწორედ პარტიები ასახელებენ კანდიდატებს არჩევით თანამდებობებზე და წარმართავენ საარჩევნო კამპანიებს. მმართველი პარტიების ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ სამთავრობო კაბინეტების ჩამოყალიბებით. ისინი განსაზღვრავენ, აგრეთვე, ყველა ცენტრალური უწყების ხელმძღვანელების პერსონალურ შემადგენლობასაც. პოლიტიკური პარტიების საქმიანობის უმნიშვნელოვანეს მხარეს წარმოადგენს მათი მონაწილეობა სახელმწიფოს შიდა და გარეპოლიტიკური კურსის შემუშავებასა და განხორციელებაში. მმართველი პარტიები თავიანთი ხელმძღვანელი ორგანოების, მთავრობების და საპარლამენტო ფრაქციების მეშვეობით პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი რეალიზაციის საქმეში მონაწილეობენ; ოპოზიციური პარტიები კი აყენებენ სხვადასხვა ხასიათის წინადადებებს, რომელიც პოლიტიკური სიტუაციის შეცვლის შემთხვევაში, შესაძლებელია, სამთავრობო გადაწყვეტილებებად იქცეს.

მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების პარტიული სისტემები მეტად მრავალფეროვანია, რაც, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია სოციალური, ეროვნული, ისტორიული, რელიგიური და სხვა თავისებურებებით.

ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობის თვალსაზრისით სხვადასხვა ქვეყანაში არაერთგვაროვანი ვითარებაა შექმნილი. ხშირად არც ერთი პარტია არ ფლობს პარლამენტში მანდატების აბსოლუტურ უმრავლესობას და კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბების მიზნით, იძულებულია სხვადასხვა ხასიათის პოლიტიკური კავშირები შექმნას. ამის ტიპიურ მაგალითს წარმოადგენს დღევანდელი იტალიის პოლიტიკური სისტემა, რომელშიც მრავალი პოლიტიკური პარტია მოღვაწეობს. მათ შორის ყველაზე გავლენიანია ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია, რომლის გარდა კოალიციური მთავრობის შემადგენლობაში ლიბერალური, რესპუბლიკური, დემოკრატიული და სხვა პარტიები შედიან. მსგავსი ვითარებაა სხვა ქვეყნებშიც (ბელგია, დანია, ჰოლანდია, შვეცია და სხვა).

ზოგიერთი სახელმწიფოს პარლამენტში მანდატების აბსოლუტური უმრავლესობა ეკუთვნის ერთ პარტიას, რომელიც ერთპარტიულ სამთავრობო კაბინეტს ქმნის. მაგალითად, იაპონიაში ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის წევრები პარლამენტის ორივე პალატაში აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ. საფრანგეთში დე გოლის და პომპიდუს პრეზიდენტობის პერიოდში (1958-1969 და 1969-1974 წ.წ.) მონოპოლიური მდგომარეობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში გოლისტურ პარტიას — „ახალი რესპუბლიკის დაცვის კავშირი“ — ეკავა (1974 წლიდან ეწოდება „გაერთიანება რესპუბლიკის მხარდასაჭერად“).

მრავალპარტიული სისტემის თავისებურ სახესხვაობას წარმოადგენს ზოგიერთ ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია, რომელსაც პირობითად პარტიული დუალიზმი შეიძლება ეწოდოს. ამ დროს სახელმწიფოს პოლიტიკურ ასპარეზზე გაბატონებული მდგომარეობა ორ პოლიტიკურ პარტიას უჭირავს, რომლებიც ხელისუფლების სათავეში ერთმანეთს ენაცვლებიან. კლასიკურ მაგალითს აშშ-ს პოლიტიკური სისტემა წარმოადგენს; 100 [illegible] პოლიტიკურ ცხოვრებაში მთავარ როლს 2 პარტია თამაშობს: რესპუბლიკური და დემოკრატიული. იგივე მდგომარეობაა დიდ ბრიტანეთშიც, სადაც ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ერთმანეთს კონსერვატორები და ლეიბორისტები ეცილებიან.

მსგავსი პარტიული დუალიზმის პირობებში, ხშირად, შედარებით სუსტი მესამე პარტია პარლამენტური უმრავლესობის მოპოვებასა და მთავრობის ფორმირებაში ეხმარება ერთ-ერთ ძირითად პარტიას. მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში წლების მანძილზე ერთმანეთს პირველობას ეცილება ორი პოლიტიკური ძალა: ერთის მხრივ — ქრისტიან-დემოკრატიული კავშირისა და ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ბლოკი და მეორეს მხრივ — გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია. ბუნდესტაგში (პარლამენტის ქვედა პალატა) 1980 წლის არჩევნების შედეგად მათ მიიღეს შესაბამისად 226 და 218 მანდატი, ხოლო თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა — 53 მანდატი. ძალთა ასეთი განაწილების პირობებში არც ამ ორპარტიულ ბლოკს და არც სოციალ-დემოკრატიულ პარტიას არ შეეძლო მთავრობის ფორმირება თავისუფალ დემოკრატთა მხარდაჭერის გარეშე. ეს უკანასკნელნი 3 წლის განმავლობაში მხარს უჭერდნენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, ხოლო 1983 წლიდან შევიდნენ კოალიციაში ქრისტიან-დემოკრატებთან, რამაც მთავრობის შეცვლა გამოიწვია. დაახლოებით ძალთა ასეთი განლაგებაა ავსტრალიის პარლამენტშიც, სადაც ლიბერალურ და აგრარულ პარტიებს ალიანსი აქვთ შექმნილი ლეიბორისტების წინააღმდეგ.

თანამედროვე პოლიტიკური პარტიების ორგანიზაციული სტრუქტურა საკმაოდ მრავალფეროვანია და დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, რომელთა შორის განმსაზღვრელია თვით ამ პარტიების სპეციფიკა, ისტორიული თავისებურებანი და ეროვნული ტრადიციები. ცნობილია პარტიათა ორგანიზაციული მოწყობის ორი ძირითადი მეთოდი, რომლის მიხედვით ანსხვავებენ ორგანიზაციულად გაფორმებულ და ორგანიზაციულად გაუფორმებელ პარტიებს. ორგანიზაციულად გაფორმებულ პოლიტიკურ პარტიებს საკუთარი ცენტრალიზებული აპარატი აქვთ, რომლის წევრები თავის პოლიტიკურ საქმიანობას განიხილავენ, როგორც პროფესიას. ამ ტიპის პარტიებში პარტიასა და მის წევრებს შორის ორგანიზაციული კავშირი არსებობს. პარტიის წევრს აქვს პარტბილეთი და იხდის საწევრო გადასახადს; იგი ვალდებულია დაემორჩილოს პარტიის წესდებით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. ასეთი პარტიები შედარებით მცირერიცხოვანნი არიან და ჩამოყალიბებული სტრუქტურით გამოირჩევიან. ამჟამად ასეთი ტიპის პარტიებს წარმოადგენს იაპონიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია, გფრ-ის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი, ავსტრიის სახალხო პარტია, შვეციის ცენტრალური პარტია და სხვ.

ორგანიზაციულად გაუფორმებელ პარტიებში (მათ სხვაგვარად საარჩევნო პარტიებსაც უწოდებენ) ოფიციალური წევრობის ინსტიტუტი არ არსებობს. მათი წევრები ორგანიზაციულად არ არიან დაკავშირებული პარტიასთან და, შესაბამისად, არ აქვთ პარტბილეთი, არ იხდიან საწევრო გადასახადს და მათზე არ ვრცელდება პარტიული დისციპლინა. ასეთი ტიპის პარტიების საქმიანობა, ძირითადად, საარჩევნო ბრძოლით განისაზღვრება. მათ მთავარ ამოცანას სხვადასხვა დონის არჩევნებში გამარჯვების მოპოვება წარმოადგენს. ორგანიზაციულად გაუფორმებელი პარტიის ტიპიური მაგალითია აშშ-ს ორი მთავარი პოლიტიკური პარტია: რესპუბლიკური და დემოკრატიული. ფორმალურად, ორივე ამ მრავალრიცხოვანი პარტიის წევრად ითვლება ყველა ის ამომრჩეველი, რომელმაც წინა არჩევნებში ხმა მისცა შესაბამის პარტიულ სიებს. ევროპაში საარჩევნო პარტიის ტიპიურ მაგალითს დიდი ბრიტანეთის კონსერვატორული პარტია (კონსერვატორებისა და იუნიონისტური ასოციაციების კავშირი) წარმოადგენს. ეს უძველესი პარტია თავდაპირველად შეიქმნა, როგორც შიდასაპარლამენტო პოლიტიკური ორგანიზაცია და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბრიტანეთში დამკვიდრდა საყოველთაო საარჩევნო უფლება (1867), დაიწყო გარესაპარლამენტო ორგანოების ჩამოყალიბება. კონსერვატორული პარტიის საპარლამენტო ფრაქცია ირჩევს პარტიის ლიდერს, რომლის უფლებამოსილება შეუზღუდავია. თუ პარტია არჩევნებში იმარჯვებს, მისი ლიდერი ავტომატურად ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ხდება, ხოლო თუ პარტია პარლამენტში უმცირესობაშია, ლიდერი ხელმძღვანელობს „მისი უდიდებულესობის ოპოზიციას“ და „ჩრდილოვანი კაბინეტის“ მეთაურის როლს ასრულებს.

დემოკრატიულ ქვეყნებში განსაკუთრებული მნიშვნელობა პოლიტიკური პარტიების ინსტიტუალიზაციას (იგულისხმება პარტიების ჩამოყალიბებისა და პოლიტიკური საქმიანობის წესი) ენიჭება. პოლიტიკური პარტიების საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, როგორც წესი, აუცილებელ ასახვას პოულობს სხვადასხვა ქვეყნების კონსტიტუციებსა და შესაბამის საკანონმდებლო აქტებში. ამასთან, აშკარად შეიმჩნევა მსგავსი საკანონმდებლო ნორმების ზრდის ტენდენცია. პარტიათა შექმნისა და ფუნქციონირების ზოგადი პრინციპები მოცემულია შვეციის (1974 წლის), საბერძნეთის (1975 წლის), პორტუგალიის (1976 წლის), ესპანეთის (1978 წლის) კონსტიტუციებში. საფრანგეთის კონსტიტუციის მე-4 მუხლის თანახმად „პოლიტიკური პარტიები და დაჯგუფებები მოწოდებულნი არიან, ხელი შეუწყონ თავისუფალი აზრის გამოხატვას“. პორტუგალიის ძირითადი კანონის 41-ე მუხლის პირველ პუნქტში ნათქვამია: „პარტიების საშუალებით ხდება ხალხის ნების ფორმირება და პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაცია“.

პარტიების შესახებ სპეციალური საკანონმდებლო აქტების შექმნა XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო. ზოგიერთ ქვეყანაში მიღებულია კონკრეტული იურიდიული ნორმები, რომლებიც პარტიათა ფინანსურ საქმიანობას ეხება. ასეთია შვეციის (მიღებულია 1965 წ.), ფინეთის (1969), იტალიის (1974), აშშ-ს (1974) და სხვა ქვეყნების კანონები პარტიათა ფინანსირების შესახებ. რიგ ქვეყნებში მოქმედებს უფრო ზოგადი ხასიათის საკანონმდებლო აქტები, რომლებშიც ვრცლად არის ჩამოყალიბებული პარტიათა შექმნისა და საქმიანობის რეგლამენტაციის პრინციპები (გფრ 1967 წ., პორტუგალია 1974, ავსტრია 1975, ესპანეთი 1978 და სხვ.).

გფრ-ის პარტიების შესახებ კანონის მე-2 პარაგრაფში აღნიშნულია, რომ პარტიები წარმოადგენენ „მოქალაქეთა ისეთ გაერთიანებებს, რომლებიც მუდმივად, ან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ახდენენ გავლენას ხალხის პოლიტიკური ნების ფორმირებაზე მთელი ფედერაციის, ან ცალკეული მიწების მასშტაბით და განზრახული აქვთ, ხელი შეუწყონ ხალხის წარმომადგენლობას ბუნდესტაგში, ან ლანდტაგში“.

უმეტეს შემთხვევაში სპეციალური კანონმდებლობით გათვალისწინებულია პარტიათა რეგისტრაციის წესი, რითაც განისაზღვრება მათი სამართლებრივი სტატუსი, ხშირად კი — არჩევნებში მონაწილეობის უფლებაც. რეგისტრაცია ხორციელდება, ძირითადად, შინაგან საქმეთა სამინისტროების (ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი) ან იუსტიციის სამინისტროების (ბელგია, ნიდერლანდები) მიერ. აშშ-ში პარტიათა რეგისტრაცია ხდება ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

რეგისტრაციის დროს პარტიები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ ამომწურავი ინფორმაცია თავიანთი პოლიტიკური მიზნებისა და ამოცანების შესახებ, ძირითადი პარტიული დოკუმენტების ასლები, პარტიული ხელმძღვანელობის წევრთა სია და სხვა. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, რეგისტრაციისთვის საჭიროა სხვა დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილება, ასე მაგალითად, პორტუგალიასა და შვეციაში განსაზღვრულია პარტიის რიცხობრივი შემადგენლობის ქვედა ზღვარი (შესაბამისად 5 და 1,5 ათასი კაცი). პორტუგალიის კანონმდებლობით მკაცრად არის აკრძალული პარტიების სუბსიდირება ქვეყნის გარედან. გფრ-ის პარტიების შესახებ კანონის თანახმად აუცილებელია, რომ პარტიისა და მისი ხელმძღვანელობის წევრთა უმეტესობა ამ ქვეყნის მოქალაქე იყოს, ხელმძღვანელობის შტაბ-ბინა კი გფრ-ის ფარგლებს გარეთ არ უნდა მდებარეობდეს. მთელ რიგ ქვეყნებში პარტიათა მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენება შესაბამისი საკანონმდებლო აქტებითა და სამთავრობო დეკრეტებითაა განსაზღვრული. მაგალითად, საფრანგეთში, საარჩევნო კამპანიის პერიოდში, ცალკეულ პარტიათა შორის სატელევიზიო დროის განაწილება და მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია ამა თუ იმ პარტიის წილობრივ წარმომადგენლობაზე ეროვნულ კრებაში (პარლამენტში).

პარტიათა მოღვაწეობის რეგლამენტაციის განსაკუთრებულ სფეროს მათი ფინანსური საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება წარმოადგენს. მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით პარტიები ვალდებულნი არიან სათანადო ორგანოებს ყოველწლიურად წარუდგინონ ფინანსური ანგარიში, თავიანთი ფულადი შემოსავლის წყაროების მითითებით. გფრ-ის ძირითადი კანონის თანახმად (მუხლი 21), „პარტიებმა ანგარიში უნდა წარადგინონ თავიანთი ფულადი სახსრების წყაროების შესახებ“.

რეგლამენტაციას ემორჩილება აგრეთვე სახელმწიფოს მიერ პარტიათა დაფინანსება. საბერძნეთის კონსტიტუციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტში ნათქვამია: „კანონით დგინდება სახელმწიფოს მიერ პოლიტიკურ პარტიათა ფინანსირების პირობები“. მსგავსი საკონსტიტუციო ნორმები თითქმის ყველა ქვეყანაში მოქმედებს. ისინი ძირითადად უკავშირდება პარტიათა მიერ საარჩევნო კამპანიის დროს გაწეული ხარჯების ანაზღაურებას. რიგ ქვეყნებში სახელმწიფო სუბსიდიები ნაწილდება პარტიების მიერ არჩევნებში მიღებული ხმების პროპორციულად (მაგ. 5 მარკა თითოეულ მიღებულ ხმაზე გფრ-ში), ზოგან კი დამოკიდებულია მიღებულ საპარლამენტო მანდატების რაოდენობაზე (შვეცია, ფინეთი, დანია და სხვ.). არსებობს სახელმწიფო სუბსიდირების შერეული ფორმებიც (მაგ. დიდ ბრიტანეთში),

მსოფლიოში დღეისათვის დაახლოებით 170 დამოუკიდებელი სახელმწიფოა, მათგან 112-ში მრავალპარტიული სისტემაა დაკანონებული (20-მდე ქვეყანაში პოლიტიკური პარტიები საერთოდ არ ფუნქციონირებენ). ერთპარტიული სისტემები ძირითადად იმ ქვეყნებში შემორჩა, სადაც ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმებია გაბატონებული — ზაირში, გაბონში, კამპუჩიაში, კუბაში, სსრკ-ში, ალბანეთში... სხვადასხვა ქვეყნების სახელმწიფო და პარტიული სისტემების განვითარების ისტორია, საზოგადოებრივ ცხოვრებაში პოლიტიკური პარტიების როლისა და მნიშვნელობის განუხრელი ზრდა ცხადად მოწმობს, რომ სწორედ მრავალპარტიული სისტემა წარმოადგენს პლურალისტული საზოგადოების ბუნებრივსა და ორგანულ პოლიტიკურ ფორმას.

**ვასილ გოცირიძე,**
**ვასილ ლაპიაშვილი.**

# დაარსდა საქართველოს მონარქისტული ლიგა

25 აპრილს საქართველოს მონარქისტულმა პარტიამ მთავრობის სახლის წინ ჩაატარა საპროტესტო აქცია. პირველად საქართველოს ისტორიაში აღინიშნა საქართველოს სამეფოს ანექსირება რუსეთის იმპერიის მიერ.

სიტყვით გამოვიდნენ მონარქისტული პარტიის წევრები: ზვიად ბოკუჩავა, აკაკი ახათიანი, გიორგი გოდერძიშვილი, გიზო სიხარულიძე, სოსო პარათაშვილი, ლერი სიხარულიძე, მიმართვა ქართველი ხალხისადმი წაიკითხა თემურ ყორყოლიანმა.

გამომსვლელებმა აუწყეს საზოგადოებას, რომ 188 წლის წინ, ამ დღეს, 1802 წლის 12 აპრილს (ძველი სტილით), სიონის ტაძარში ქართველი თავადაზნაურობა ძალით დააფიცეს რუსეთის მეფის ერთგულებაზე (ტაძარი გარშემორტყმული იყო რუსის ჯარით), ვრცლად ილაპარაკეს იმ მონობასა და აურაცხელ უბედურებაზე, რაც საქართველოს რუსეთის იმპერიამ მოუტანა (თუმცაღა, ალექსანდრე I-ის მანიფესტი პირფერულად ჰპირდებოდა ქართველ ხალხს კეთილდღეობასა და სიმშვიდეს), გაავლეს პარალელი დღევანდელ საბჭოთა იმპერიასა და ცარისტულ იმპერიას შორის, აღნიშნეს, რომ საქართველო დღემდე იმყოფება რუსეთის იმპერიის უღლის ქვეშ, გამოთქვეს რწმენა, რომ ქართველი ერი მხარს დაუჭერს საქართველოში ტრადიციული სახელმწიფოებრივი სტრუქტურის აღდგენას (ცხადია, ეს არ გულისხმობს ბატონყმობის აღდგენას), რაც საქართველოს გათავისუფლებისა და ჭეშმარიტი აღორძინების საწინდარი იქნება.

მიტინგზე მრავალი საინტერესო ისტორიული დოკუმენტი წაიკითხეს, ილაპარაკეს ქართველი ხალხის გმირულ ბრძოლაზე რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ, აღნიშნეს, რომ უნდა აღმოიფხვრას ქართველების კოლაბორაციონიზმი, დამპყრობლის სამსახური ჩინ-მენდლებისა თუ პრივილეგიების საფასურად — ეს სამშობლოს ღალატია, ასე ცხოვრება აღარ შეიძლება!

ითქვა, რომ საქართველოს სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრეა გიორგი XIV, რომელიც ესპანეთში ცხოვრობს (ბაგრატიონთა დინასტია უძველესია მსოფლიოში არსებულ სამეფო დინასტიათა შორის). მონარქისტული პარტია ყოველ ღონეს ხმარობს, რათა გიორგი XIV რამდენიმე დღიანი ვიზიტით ჩამოვიდეს საქართველოში (ეს, შესაძლოა, ივნისის თვეში მოხდეს).

გამოცხადდა, რომ მონარქისტული პარტიის შექმნის 1 წლის თავზე, 10 აპრილს, დაფუძნდა მონარქისტული ლიგა, რომელიც გააერთიანებს საქართველოში მეფობის აღდგენის თანამგრძნობთ განურჩევლად ასაკისა, სქესისა (მონარქისტული პარტია თავის რიგებში ქალებს არ იღებს), ეროვნებისა და პარტიულობისა.

მიტინგზე მისალმებითა და სიტყვით გამოვიდნენ ნოდარ ნათაძე, თამაზ კვაჭანტირაძე, ირაკლი ბათიაშვილი, ედიშერ გიორგაძე და სხვები. გამოითქვა რწმენა იმისა, რომ ქართველი ხალხი სულითა და გულით დაუჭერს მხარს კონსტიტუციური მონარქიის შექმნას, რადგან საქართველოს მეფე ჩვენთვის ყოველთვის იყო ხატება ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისთავადობისა.

1990 წლის 25 აპრილი მრავალი ქართველისთვის იქცა ღირსშესანიშნავ დღედ, როგორც ნიშანსვეტი ჩვენი ტრაგიკული წარსულისა და ბედნიერი მომავლის.

მიტინგს ესწრებოდა 15 ათასი კაცი.

## ქრონიკა

ვილნიუსი. 25 აპრილს გამართულ ლიტვის უმაღლესი საბჭოს მორიგ სხდომაზე ძირითადი ყურადღება ეკონომიკური საკითხების განხილვას დაეთმო. როგორც მთავრობის თავმჯდომარე კ. პრუნსკენემ აღნიშნა თავის გამოსვლაში, საბჭოთა კავშირის მიერ ლიტვის ბლოკადამ ყოვლისმომცველი ხასიათი მიიღო, რასაც შეიძლება მეტად სავალალო შედეგები მოჰყვეს რესპუბლიკისათვის. პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ თავისი ხელფასის ნახევარს „ბლოკადის ფონდში“ რიცხავს. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ლიტვის კომუნისტური პარტიის ლიდერმა ა. ბრაზაუსკასმა ბლოკადის კონკრეტული შედეგები მოახსენა სხდომას: 20 მაისისათვის ამოიწურება ლიტვის ნავთობის მარაგი: ამჟამად, ლიტვაში 7500 ადამიანი დარჩა სამუშაოს გარეშე, ხოლო 1 მაისისათვის მათი რიცხვი 35 ათასამდე გაიზრდება, რადგან დაიხურება მრავალი საწარმო. რომელიც ნედლეულს ვერ მიიღებს სსრკ-დან. უმაღლესი საბჭოს სხდომაზე მიიღეს ბლოკადის საწინააღმდეგო ზომების მთელი პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის, აგრეთვე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქების საწარმოებთან პირდაპირი კავშირურთიერთობების დამყარებას, რესპუბლიკის მთელი რიგი საწარმოების სხვა პროდუქციის გამოშვებაზე გადაყვანას და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას. სხდომაზე დასრულდა მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბება. 20 მინისტრიდან 10 უპარტიოა, 8 ლიტვის დამოუკიდებელი კომპარტიის წევრია; 1 — ქრისტიან-დემოკრატია, ხოლო 1 — სოციალ-დემოკრატი.

მოსკოვი. 16 აპრილს გაიმართა დეპუტატთა რეგიონთაშორისი ჯგუფის საკოორდინაციო საბჭოს სხდომა, რომელიც ლიტვის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებას მიეძღვნა. ბევრმა ცნობილმა დეპუტატმა, რომელიც წინათ თავისი რადიკალური პროგრამით გამოირჩეოდა და „საბჭოთა კავშირს „იმპერიას“ და „ხალხთა საპყრობილეს“ უწოდებდა, ახლა, როდესაც საქმე საქმეზე მიდგა, განაცხადა, რომ „ლიტვის მოქმედება ეწინააღმდეგება კავშირის ინტერესებს“. მიიღეს სხდომის რეზოლუცია, რომელშიც ლიტვისა და სსრკ მთავრობებს მოუწოდებენ დაიწყონ მოლაპარაკებები, რომელთა მიმდინარეობის პერიოდში „უნდა შერჩეს 10 მარტის შემდეგ როგორც ვილნიუსში, ასევე მოსკოვში მიღებული დადგენილებების მოქმედება“, რაც გულისხმობს ლიტვის მიერ გამოცხადებული დამოუკიდებლობის დეზავუირებას.

# ნუთუ?

## საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარეს პროფესორ ნოდარ ნათაძეს

ახლახან შეხვედრისას თქვენ ბრძანეთ, რომ არ ეთანხმებით გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებული წერილის ავტორს ნ. ანთელავას, რომელმაც ბრალი დამდო, არც მეტი, არც ნაკლები, მეგრული ლექსების მითვისებაში. თქვენგანვე გავიგე, რომ აპირებთ ამ საკითხზე წერილის დაწერას და ავტორის მცდარი მოსაზრების უსაფუძვლობის დასაბუთებას.

ბუნებრივია, დიდი ინტერესით ველოდები თქვენი, როგორც თვალსაჩინო მეცნიერისა და ლიტერატორის, წერილის გამოქვეყნებას. მანამდე კი თქვენს გაზეთს მინდა ვთხოვო ნება დამრთოს, ორიოდე სიტყვით შევეხმიანო ჩემს ბოლოდროინდელ „თაყვანისმცემელთაგან“ ერთ-ერთს — ნ. ანთელავას.

მე ვეკითხები მას: ნუთუ ვერ შეამჩნია, რომ ჩემს მიერ მეგრულიდან სასოებით გადმოტანილ ლექსების ციკლებს ყველგან აწერია: **კოლხური მელოდიები... ისევ კოლხური მელოდიები...**

ეს კოლხური მელოდიები ანუ მეგრული ხალხური ლექსები აწყობილია (ყველა გამოცემაში) **განსხვავებული შრიფტით — თეთრი** მთავრული კორპუსით.

გარდა ამისა, ცალკეული ლექსების სათაურებია **„ძველი კოლხური სიმღერის მოტივზე“, „ძველი კოლხური სატრფიალო“** და ასე შემდეგ.

ნუთუ არაფერზე მიუთითებენ სიტყვები: **კოლხური მელოდიები?**

ნუთუ ჰგონია წერილის ავტორს, რომლის „სენსაციური აღმოჩენის“ თაობაზე ასე რიხიანად იუწყებოდა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ **ანონსი**, ეს ყოველივე **შემთხვევით** ხდებოდა?

ნუთუ ამით მკითხველის ყურადღებას არ ვამახვილებდი იმაზე, რომ ეს ლექსები ხალხური სიტყვიერების ნიმუშებია და არა ორიგინალური ნაწარმოებები?

**მილიონ მეგრელთაგან** ნუთუ მხოლოდ მან და **მისმა ანონიმმა თანაავტორის** ფხიზელმა თვალებმა შეამჩნიეს ის „უბედურება“, რაც, თურმე ნუ იტყვით, მე დავატეხე თავს მეგრულ ფოლკლორს?

**მილიონ მეგრელთაგან** ნუთუ ამ ორმა გულთმისანმა გაიგო, რომ დღისით, მზისით, უტუს ჯარის თვალწინ ვიტაცებდი ხალხური პოეზიის ნიმუშებს?

ბარაქალა მას და მის ჩადრმოხვეულ თანაავტორს!

და ბოლოს: ნუთუ მან არ წაიკითხა ... ლექსი-სიმღერა „ჩაგუნა“ ჩემს მიერ გადატანილი დიდ დედაენაზე. აი ამ ლექსის ბოლო ნაწილი:

ეგ სიმღერა ძველკოლხური
სალხინოში დაიბადა,
ვიდრე თბილისს ეწვეოდა,
გზაში ოდნავ გაირანდა.

ჩონგურების შემწეობით
გაიარა გრძელი შარა
და სრულიად საქართველომ
„ჩაგუნიაც“ შეიყვარა.

მეც სათარგმნი რაღა მქონდა,
რომ ვიდარდო, ვითაკილო:
დედაენას დაუბრუნდა
დედაენის წმინდა კილო!

დაეწაფე წყაროს შენცა,
ვინა კრძალავს ამგვარ ჯაფას,
მაგრამ ისიც გავიხსენოთ,
ვინც პირველად დაგვაწაფა!

გავიხსენოთ პირველთქმელი,
რომ გაგვიხსნა სიბრძნის წყარო
და თაფლივით შეგვერგება
მისი მადლი, მეგობარო...

არ მეეჭვება, ასევე ფიქრობდნენ ჩემი სახელოვანი კოლეგები, რომლებმაც ყველა ქართული გვარ-ტომის შვილებს გაუთავისეს კოლხური ფოლკლორი. რა ექნათ მათ? დაეწერათ... **თარგმანი მეგრულიდან?**

არა, ბატონებო! მე და ჩემი კოლეგები ცოტა სხვანაირად ვფიქრობთ.

რაც შეეხება ნ. ანთელავას „აკადემიურ“ ტონს, ეს, როგორც იტყვიან ხოლმე, **მის სინდისზე იყოს.**

**ხუტა ბერულავა**

**რედაქციისაგან: გაზეთ „საქართველოს“ რედაქციის კოლექტივი არ ეთანხმება ხუტა ბერულავას.**

# ერის ღირსების დამცველთა ასოციაცია „იმედის“ საწინამძღვროს განცხადება

ერის ღირსების დამცველთა ასოციაცია „იმედის“ კახეთის სადროშოს საგარეჯოს ტერიტორიული ჯგუფი გავიდა „იმედის“ შემადგენლობიდან და შეუერთდა საზოგადოება „საქართველოს მხედრიონს“. ამიერიდან „იმედი“ სწყვეტს საგარეჯოს ტერიტორიულ ჯგუფთან ორგანიზაციულ კავშირს და შესაბამისად იხსნის პასუხისმგებლობას „იმედის“ საგარეჯოს ყოფილი ტერიტორიული ჯგუფის შემდგომ საქმიანობაზე. შესაბამისად, საგარეჯოს ჯგუფი აღარ სარგებლობს „იმედის“ სახელით. ამასთანავე, ერის ღირსების დამცველთა ასოციაცია „იმედის“ კახეთის სადროშოს ცენტრი საგარეჯოდან გადადის ქ. თელავში.

„იმედის“ საწინამძღვრო მოითხოვს კახეთის სადროშოს ყოფილი წინამძღოლის ბატონ გელა გოდერძიშვილისაგან ასოციაციის სამფეროვანი სპორტული დროშის ჩაბარებას.

„იმედის“ საწინამძღვროს მიაჩნია, რომ ეროვნულ მოძრაობაში ყოველმა პიროვნებამ თუ პიროვნებათა ჯგუფმა თვითონ უნდა განსაზღვროს, სად უკეთ გამოადგება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და იპოვოს თავისი ადგილი. აქედან გამომდინარე, „იმედის“ საწინამძღვრო თვლის, რომ საგარეჯოელი მეგობრები იბრძოდნენ, იბრძვიან და კვლავაც იბრძოლებენ საქართველოს ნათელი მომავლისათვის და ამიტომ ერთი ორგანიზაციიდან მეორეში გადასვლას აღიქვამს, როგორც წმინდა პოლიტიკურ სვლას.

„იმედის“ საწინამძღვრო გზას ულოცავს საგარეჯოელ მეგობრებს და უსურვებს გამარჯვებას დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

**დავით ხომასურიძე, გია მიქელაძე, გოჩა ბაგაშვილი, დავით გაგნიძე, ჰენრი კუპრაშვილი, გოგი დავითური, ტარიელ გოსტოლანაშვილი.**

# შეგახსენებთ

საქართველოს სახალხო ფრონტის რეგიონული და უწყებრივი ორგანიზაციების გამგეობის თავმჯდომარეებს და პირველადი ჯგუფების რწმუნებულებს, რომ სახალხო ფრონტის წევრი თვეში იხდის 1მანეთს. აქედან თუ პირველადი ჯგუფი გაერთიანებულია რეგიონულ ორგანიზაციაში, 40 პროცენტი რჩება ჯგუფს, 20 პროცენტი — რეგიონულ ორგანიზაციას და 40 პროცენტი — რესპუბლიკურ ორგანიზაციას. თუ პირველადი ჯგუფი დამოუკიდებელია, მაშინ რეგიონისთვის განკუთვნილი 20 პროცენტი რჩება პირველად ჯგუფს.

ამასთან, პირველადი ჯგუფი აირჩევა წევრთა იმ რაოდენობის პროპორციულად, რომლებსაც გადახდილი აქვთ შესასვლელი (1 მან.) და საწევრო გადასახადი.

საქართველოს სახალხო ფრონტის ანგარიშია: ბინსოცბანკის კალინინის რაიონის განყოფილება — 100700307.

# წერილი რედაქციას

საქართველოში დავიბადე, საქართველოში გავიზარდე, ეროვნებით აზერბაიჯანელი ვარ, მაგრამ საქართველო ისევე მიყვარს, როგორც ნამდვილ ქართველს და შვილებსაც ამ სიყვარულით ვზრდი.

25 წელია ვმუშაობ კავშირგაბმულობის სამინისტროში, ჩემი სამუშაო რაიონი მთაწმინდაა. მთაწმინდა ჩემი უსაყვარლესი ადგილია თავისი პანთეონით, თავისი არაჩვეულებრივი ქართული ოჯახებით, რომელთა სახლის კარი ჩემთვის ყოველთვის ღიაა. მე იქ შევდივარ არა როგორც უცხო ან სტუმარი, არამედ, როგორც ერთგული მეგობარი და ნათესავი. იქ მე ყველანი ქართველ აზერბაიჯანელს მეძახიან.

ათეული წლების მანძილზე ჩემთვის არც ერთ ქართველს არც სამსახურში, არც სამუშაო უბანზე არაფერი უწყენინებია, არ უგრძნობინებია, რომ მე ქართველი არა ვარ, რომ უცხო ვარ მათთვის.

მიკვირს და მაშფოთებს საქართველოს ფრთებს ამოფარებული ზოგიერთი იმ სხვა ეროვნების ადამიანთა უმადურობა, რომლებიც საქართველოს კეთილ გულს, მადლობის მაგივრად, ბოროტებით პასუხობენ. ბევრს ვფიქრობ და ვერ გამიგია, რა უნდათ მათ, რისკენ ისწრაფვიან? ნუთუ 9 აპრილმა, რომელიც მე ისე განვიცადე, როგორც საკუთარი უბედურება, ვერ დაარწმუნა ესენი იმაში, რომ ქვეყნად არ არსებობს ძალა, რომელსაც ქართველი ქართველობის შელახვას აპატიებს, არ არსებობს ძალა, ქართველი უგუნური მტრის წინაშე დააჩოქოს.

მე აზერბაიჯანელი კაცი და ჩემი საღად მოაზროვნე მეგობარ-ნათესავები პროტესტს ვუცხადებთ ინტერფრონტის შემქმნელ ბოროტ ძალას, ვუერთდებით თქვენს დიდ ეროვნულ მოძრაობას და ქართველებთან ერთად მოუთმენლად ველით თავისუფალი საქართველოს მეორედ დაბადების დღეს.

ჩვენ თქვენთან ვართ, ქართველო ძმებო, ბოლოს და ბოლოს გაიგოს ყველამ და უფრო მეტად კი მტერმა, რომ ქვეყნად ყველაზე დიდი ბედნიერება თავისუფლებაა და რომ ეს ბედნიერება მარტო ქართველისათვის კი არა, საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების ადამიანებისთვისაც მოდის.

საქართველოს გახარება ჩვენი გახარებაც იქნება.

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს და მის მადლიან მიწაზე, მისი კეთილი ცისქვეშ მცხოვრებ ყველა ეროვნების ადამიანთა ერთიანობას.

**უარამან შაჰვერდოვი**

სახალხო ფრონტი
ფასი 10 კაპ.
ინდექსი 66447

რედაქციის მისამართი: თბილისი, უაზბეგის ქ. № 17. ტელ.: 292-881.
იბეჭდება საქართველოს კპ ცკ გამომცემლობაში

X1

რედაქტორი მამუკა ყაჩუაშვილი